პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. კ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

27 დეკემბერი
სამშაბათი

1918. რიგაში ძალა უფლება მუშათა დეპუტატების საბჭომ ჩაიგდო ხელში.
1917. ბანკების ნაციონალიზაციის დეკრეტი.

რედაქციის მისამართი
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა უქმე დღეებისა დღ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 1 საერთო №

№ 247 სამშაბათი, 27 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 27 დეკემბერი, 1921 წ. № 247

**სამშაბათს, 27 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე**

საქართველოს რევკომის შენობაში შესდგება

## საქართველოს კომპარტიის გამწმენდ ცენტრალურ კომისიის თავმჯდომარის მოხსენება

მოწვეული არიან ც. კ. და თბ. კ. წევრები, პროფსაბჭოს ფრაქციის ბიურო, რაიკომები.

თბ. კომიტეტის მდივანი კახიანი.

---

## საქართველოს პროვინციამ უნდა სთქვას თავისი სიტყვა

თბილისის და ბათუმის საბჭოების არჩევის შემდეგ ჯერი მიდგა პროვინციაზე. დებულება და ინსტრუქცია, რომლებსაც ვათავსებთ დღეს ჩვენ გაზეთში, იძლევიან დაწვრილებით ცნობებს იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იქნეს ამრჩეველი ან არჩეული საბჭოებში, როგორ უნდა მოეწყოს არჩევნები თემებში, როგორ უნდა იყოს კონსტრუქცია თემთა საბჭოების და მათი აღმასკომების, როგორ უნდა შესდგეს სამაზრო ყრილობები და დაბოლოს სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა.

საბჭოები არიან ორგანოები მშრომელთა სახელმწიფოებრივი ძალა უფლების, მუშების, გლეხების, წითელარმიელების და მატროსების, ე. ი. იმათი, ვინც ჰქმნის ჩვენი ქვეყნის დოვლათს, ვინც უვლის და იცავს მშრომელთა ეკონომიურ და პოლიტიკურ რეჟიმს შინაური მტრების მუხანათობისა და გარედან იმპერიალისტური მტაცებლების შემოსევისაგან.

თებერვლის გადატრიალებამ ჩვენში სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება გადასცა მშრომელებს, მუშებს და გლეხებს, რომლებიც ატარებდნენ მას ცხოვრებაში ადგილობრივი და ცენტრალური რევოლიუციონური კომიტეტების საშუალებით.

წინად არსებული ეკონომიური და პოლიტიკური რეჟიმის ნგრევის პირობებში, როდესაც სამოქალაქო ბრძოლა და მის მიერ უშუალოდ შექმნილი გარემოებანი ხელის შემშლელი იყვნენ, რომ ნორმალურად ჩატარებულიყო მშრომელთა მიერ თავის მასიური სახელმწიფოებრივი ორგანოების არჩევნები, ცხადია, ვერ მოხერხდებოდა მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების შედგენა და მთელი ძალა-უფლების მათ ხელში გადაცემა. მხოლოდ ათი თვის შემდეგ თებერვლის გადატრიალებიდან, ჩვენ გვეძლევა დაბოლოს საშუალება ისეთი სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნის, რომლის ერთათ ერთი გამომხატველია დღევანდელ ხანაში მშრომელთა პოლიტიკური ბატონობის და საუკეთესო საშუალება მისი თვითმოქმედებისა და ეკონომიური შემოქმედების. ახლო მომავალში რევკომებმა ადგილი უნდა დაუთმონ საბჭოებს და ამ ფაქტით ჩვენ ქვეყანას ევლინება ნამდვილი ბატონ-პატრონი, მისი გამგე და დამცველი, რომლის მოვალეობას ასრულებდნენ დღემდი რევკომები. მომავალშიაც ისევე, როგორც აქამდე, ერთათ-ერთი პარტია, რომელიც წინ გაუძღვება ჩვენ ქვეყანას და ზიდავს სიმძიმეს დანგრეული ქვეყნის აღმშენებლობისას არის ჩვენი პარტია. ასეთი მისი როლი საკმაოთ შეაფასა ჩვენი ქვეყნის მშრომელმა მასებმა და სრული ნდობა გამოუცხადა მას თბილისისა და ბათუმის საბჭოების არჩევნების დროს, ამოირჩია დიდი უმრავლესობით მის მიერ წამოყენებული კანდიდატები დეპუტატებათ ამ საბჭოებში. ოდესღაც უმთავრესი ჩვენი მოწინააღმდეგე მენშევიკური პარტია, მას შემდეგ, რაც მან განიცადა უკანასკნელ ხანებში მთელი რიგი დამარცხებისა რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ გამოსვლებში, დღეს საკმაოთ პოლიტიკურათ გატეხილია წელში. დარწმუნებული კვლავ ხელახალ დამარცხებაში, რომლის მოლოდინში იყო ის, და საფუძვლიანადაც, მან მოუწოდა მის გვერდით კიდევ შემორჩენილ ჯგუფებს არჩევნების ბოიკოტისაკენ, მაგრამ აქაც მან განიცადა იგივე მარცხი, რაც მის შეთხელებულ რიგებს დასჩემდათ ამ უკანასკნელ ხანებში და რის გამო მისი პოლიტიკური გავლენა დღეს არარაობას უდრის. თვით მისი ორგანიზაციის წევრებიც აშკარათ გამოდიან დღეს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ ისინი წინააღმდეგი არიან საბჭოთა არჩევნების ბოიკოტის. მომავალმა არჩევნებმა პროვინციაში კვლავ უნდა კიდევ აშკარათ გახადოს ის ფაქტი, რომ ჩვენი ხალხის მშრომელთა ფართო წრეებში მენშევიკური და დანარჩენი შოვინისტური პარტიები საბოლოოდ დამარცხდნენ, რომ ისინი პოლიტიკური ცხოვრების ნაპირზე გახდნენ გარიყული და მათ ერთი ადგილიც არ დაეთმობათ მშრომელთა სახელმწიფოებრივ ორგანოებში.

ჩვენი პროვინციის მუშა, გლეხი და წითელ არმიელი, ისევ როგორც ეს მოხდა თბილისში და ბათუმში, ხმას მისცემს მხოლოთ თავის პარტიის კანდიდატებს, აირჩევს საბჭოებში მხოლოთ კომუნისტებს.

## საბჭოთა საარჩევნო კამპანია და ფედერაციის საკითხი

დღეს ჩვენს გაზეთში ქვეყნდება დებულება სათემო და სამაზრო საბჭოების არჩევნებისა და საქართველოს საბჭოთა ყრილობისათვის ქვეყნდება აგრეთვე სათანადო ინსტრუქციაც. ადგილობრივ უკვე სდგებიან საარჩევნო კომისიები და წარმოებს სათანადო მუშაობა. თბილისისა და ბათუმის შემდეგ დანარჩენი საქართველოს მშრომელი მასსებიც აირჩევენ თავის ძალა-უფლების ორგანოებს და ამნაირათ სულ ახლო მომავალში მთელი ჩვენი ქვეყანა მოიფინება მუშების, გლეხების, წითელარმიელების და მატროსების საბჭოებით.

საარჩევნო კამპანია, რომელიც დაიწყო ჩვენში, მატარებელია განსაკუთრებული მნიშვნელობის. გარდა იმისა, რომ დღემდი არსებულ გარდამავალი დროის რევკომებს სცვლის მასსიური ორგანოები მშრომელთა ძალაუფლების, მათ მიერ არჩეული საბჭოები და ამნაირათ ჩვენი ქვეყანა ღებულობს იმ სახელმწიფოებრივ სახეს, რომელიც მას ეკუთვნის. მენშევიკურ ბურჟუაზიულ—დემოკრატიული რეჟიმის დამარცხების შედეგათ, ამავე დროს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა ემზადება ამიერ-კავკასიის დანარჩენ მეზობელ რესპუბლიკებთან საკავშირო გაერთიანებაში შესასვლელათ. ფედერაციის საკითხის ირგვლივ აღძრული კამპანია გადაიქცა ჩვენი პარტიის პოლიტიკურ ტრიუმფათ სამივე რესპუბლიკაში. პარტიამ სწორათ აუღო ალღო შექმნილ შინაურ და საგარეო მდგომარეობას და მისმა გადაწყვეტილებამ ჰპოვა ფართო გამოძახილი ჩვენ ხალხში და საერთო აღფრთოვანება მის დიდ უმრავლესობაში, მის მშრომელთა ნაწილში. მომავალმა საბჭოთა ყრილობამ უნდა დაადასტუროს ჩატარებული კამპანია და დეკლარაციულ ფორმაში გამოხატოს ჩვენი ხალხის გადაწყვეტილება ძმურ რესპუბლიკებთან საკავშირო გაერთიანების, ფედერატიული ურთიერთობის დამყარების შესახებ. აქედგან ცხადია, რომ საკითხს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, უნდა დაეთმოს მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში ერთი უმთავრესი ადგილთაგანი, რომ მის ირგვლივ უნდა მოხდეს ჩვენი მუშურ-გლეხური საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია.

ვინ გამოდის დღეს ფედერაციის წინააღმდეგ ჩვენში?

მეზობელ რესპუბლიკებთან ჩვენმა მჭიდრო პოლიტიკურმა, ეკონომიურმა და სამხედრო თანამშრომლობამ, ყველა ჩვენი შემოქმედებითი ძალების დარაზმვამ და გაერთიანებამ უნდა უზრუნველჰყოს მშრომელი ხალხი, ჩვენი სამეურნეო ცხოვრების აღდგენა შიგნით, უნდა უზრუნველჰყოს საგარეო მდგომარეობის განმტკიცება ძმური რესპუბლიკების. ამას მოითხოვს სასიცოცხლო ინტერესები ამ რესპუბლიკების, ინტერესები სოციალისტური რევოლიუციის. ცხადია, რომ მის წინააღმდეგ ილაშქრებენ ყველა ისინი ვინც მტრულათ არიან განწყობილი როგორც პირველების, ისე მეორეს მიმართ. ესენი არიან პირველ ყოვლისა ყოფილი ბატონ-პატრონები ამიერ-კავკასიის: მენშევიკები და მათი ამყოლი შოვინისტური ინტელიგენცია საქართველოში, დაშნაკელები—სომხეთში, მუსავატელები—აზერბაიჯანში. ისინი არ არიან საზოგადოთ წინააღმდეგნი ურთიერთ დახმარებისა და თანამშრომლობის, როდესაც საქმე შეეხება მათ მიერ დაკარგული ბატონობის აღდგენისა და მის განმტკიცებას. ამ მიზნით მათ უკვე მოაწერეს ხელი საკავშირო ხელშეკრულებას, მაგრამ ეს მოიმოქმედეს მათ, შორს გადასროლილებმა კავკასიიდან პარიზში, დამარცხებულებმა რევოლიუციის მსვლელობით და გამარჯვებით ჩვენში. კავშირი კარგია მათი აზრით, როდესაც და რამდენადაც ის ამაგრებს მათ მდგომარეობას, როდესაც ის ხელს უწყობს მათ „რესტავრაციულ" მუშაობას, ამიერ-კავკასიაში მათი რეჟიმის კვლავ დაბრუნებას, იმპერიალისტების გავლენის ხელ ახლა აღდგენასა და გამაგრებას. მაგრამ მთელი ძალითა და ენერგიით, რომელიც კიდევ მათ შესწევთ, ისინი ილაშქრებენ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის წინააღმდეგ, რადგან ის გაამაგრებს საბჭოთა რეჟიმს ჩვენში, აღადგენს საწარმოო ძალებს, განამტკიცებს რევოლიუციის მონაპოვართ და სამუდამოთ ჩაჰკლავს მათში ოცნებას ძველი დანგრეული ტახტის აღდგენის შესახებ. ის რაც ამაგრებს და ამტკიცებს შექმნილ მდგომარეობას ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში, ღუპავს და ანადგურებს მათ.

ეს კარგათ შეიგნეს მშრომელმა მასებმა ჩვენში და ეს არის მიზეზი იმის, რომ ასეთი აღფრთოვანებით შეხვდნენ ისინი ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, მიმდინარე საარჩევნო კამპანიაშიაც საქართველოს მუშები, გლეხები, წითელარმიელები და მატროსები ისევე მასიურათ ჩაერევიან თავის ძალა-უფლების ორგანოების შექმნაში, ისეთივე გამოხმაურებას ჰპოვებს ახლაც მათში გადაწყვეტილება მეზობელ რესპუბლიკებთან ძმური კავშირის შესახებ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ორი უმთავრესი ქალაქის საბჭოების არჩევნების დროს თბილისში და ბათუმში და რომ კომუნისტური პარტია საქართველოს პროვინციაშიაც ჰპოვებს ისეთ ბრწყინვალე გამარჯვებას და მთელ თავისი ტაქტიკის დადასტურებას, როგორც ამის მოწამე ვიყავით ხსენებულ ორ ქალაქში.

---

# საბჭოთა არჩევნებისათვის საქართველოში

## დებულება

**სათემო და სამაზრო საბჭოებისა და საქართველოს საბჭოთა ყრილობის არჩევნებისათვის.**

დამტკიცებულია საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 22 დეკემბერს 1921 წ.

ს. რევკომის თავმჯდ. მოადგილე ს. ქავთარაძე.

თბილისი—სასახლე.

### ვინ ირჩევს და ვინ შეიძლება იქნეს არჩეული.

1. საბჭოებში არჩევის უფლება და ის უფლება, რომ თვით იქნეს არჩეული აქვთ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ორივე სქესის ქვემოდ ჩამოთვლილ მოქალაქეთ, განურჩევლად სარწმუნოებისა, ეროვნებისა ბინადრობისა და სხვ. რომელთაც არჩევნების დღისათვის თვრამეტი წელი შეუსრულდათ:

ა) ყველა მოქალაქეს, ვინც შოულობს ცხოვრების სალსარს ნაყოფიერი და საზოგადოებრივ—სასარგებლო შრომით და აგრეთვე იმ პირთ, ვინც ეწევა საოჯახო მეურნეობას და ამით პირველთათვის ჰქმნის ნაყოფიერი შრომის შესაძლებლობას, როგორც მაგ. მუშები და ყოველგვარი სახისა და კატეგორიის მოსამსახურენი, რომელნიც მუშაობენ მრეწველობასა, ვაჭრობასა, სოფლის მეურნეობასა, საბჭოთა დაწესებულებაში და სხვ.—და აგრეთვე მიწის მფლობელ გლეხებს, რომელნიც მოგებისათვის დაქირავებულ შრომას, არ მიმართავენ.

ბ საქართველოს წითელ არმიას, რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის წითელ არმიას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება და აგრეთვე ფლოტს.

**შენიშვნა 1:** ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ, ცენტრალური ხელისუფლების დასტურით, შეამცირონ ამა მუხლში გათვალისწინებული წლოვანების ნორმა.

**შენიშვნა 2:** საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკა ხელმძღვანელობს ყველა ერის მშრომელთა სოლიდარობის პრინციპს, და ანიჭებს რა საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მოქალაქის ყველა პოლიტიკურ უფლებას უცხოელთაც, რომელნიც სცხოვრობენ საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შრომის მიზნით და ეკუთვნიან მუშათა კლასს, ან და გლეხობას, რომელიც არ მიმართავს დაქირავებულ შრომას, ანიჭებს მათ აგრეთვე აქტიურსა და პასიურ საარჩევნო უფლებას.

2. არა აქვთ უფლება აირჩიონ ან თვით არჩეულ იქნენ, თუნდა რომელიმე ზემოდაღნიშნულ კატეგორიას ეკუთვნოდნენ:

ა) იმ პირთ, რომელნიც მოგების მიზნით დაქირავებულ შრომას მიმართავენ.

ბ) იმ პირთ, რომელნიც სცხოვრობენ არა შრომის შემოსავლით, მაგ. კაპიტალის პროცენტით, წარმოების მოგებით ქონების შემოსავლით.

გ) კერძო ვაჭრებს, სავაჭრო და კომერციულ შუამავალთ.

დ) ბერ-მონაზონთ ეკლესიებისა და სარწმუნოებრივი კულტის სასულიერო მსახურთ.

ე) მოსამსახურეთ და აგენტებს ყოფილი პოლიციისა და ჟანდარმთა ცალკე კორპუსისა, საჯაშუშო (ოხრანნოე) განყოფილებისა და განსაკუთრებული რაზმისა.

### 2 საარჩევნო კომისიები.

3. თემისა, მაზრისა და რესპუბლიკის მასშტაბით საბჭოთა არჩევნებისათვის მოეწყოს:

ა) საქ. სოც. საბჭ. რესპ. საბჭოების მოწვევის ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ბ) სამაზრო საარჩევნო კომისები

და გ) სათემო საარჩევნო კომისიები.

4. ცენტრალური საარჩევნო კომისია არსდება საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლ. კომიტეტის მიერ. კომისია შესდგება ცხრა წევრისაგან და საქართველოს რევ. კომიტეტის კონტროლის ქვეშ, ხელმძღვანელობას უწევს არჩევნების წესს მთლად საქართველოში.

5 სამაზრო საარჩევნო კომისია უნდა მოეწყოს სამაზრო რევოლ. კომიტეტის მიერ, ხუთი წევრის შედგენილობით და დამტკიცებულ იქნეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ. სამაზრო საარჩევნო კომისია სამაზრო რევოლ. კომიტეტის პრეზიდიუმის კონტროლის ქვეშ, ხელმძღვანელობას უწევს არჩევნების წესს თავის მაზრის ფარგლებში.

**შენიშვნა:** სამაზრო საარჩევნო კომისია არა ჰქმნის საკუთარ აპარატს, არამედ გამოიყენებს სამაზრო რევოლ. კომიტეტის შინაგანი მმართველობის განყოფილების აპარატს.

6. სათემო საარჩევნო კომისია უნდა მოეწყოს სამაზრო საარჩევნო კომისიის მიერ სამი წევრის შედგენილობით. პასუხისმგებლობა თემის კომისიების ორგანიზაციისა და მუშაობისათვის ეკისრება სათანადო სამაზრო კომისიას.

**შენიშვნა:** თემის საარჩევნო კომისია გამოიყენებს თემის რევ. კომიტეტის აპარატს.

7. სამაზრო და სათემო საარჩევნო კომისიაში წევრად შესვლა შეუძლია მხოლოდ იმ მოქალაქეს, რომელმაც თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობით ცხად-ჰყო, რომ მედგარი დამცველია მშრომელთა ინტერესებისა.

8. ცენტრალური საარჩევნო კომისია ჰგზავნის თითო წარმომადგენელს ყოველ სამაზრო კომისიაში არჩევნების ხელმძღვანელელობისა და მეთვალყურეობისათვის.

**შენიშვნა:** საარჩევნო კომისიისათვის არჩევნების მოწყობის გასაადვილებლად, ცენტრალური კომისია შეძლებისამებრ, საარჩევნო კომისიათა განკარგულებაში ჰგზავნის განსაკუთრებულ ინსტრუქტორებს, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენს არჩევნებისათვის ტეხნიკური მუშაობის წარმოება და აგრეთვე მიწოდება სამაზრო და სათემო საარჩევნო კომისიისათვის ყველა საჭირო საარჩევნო მასალებისა, როგორც არის მაგ. ბლანკები, ქაღალდი ფურცლები და სხვ.

9. საარჩევნო მუშაობის წესიერად წარმოებისათვის სამაზრო საარჩევნო კომისია დაჰყოფს მთელ მაზრას რაიონებად, გაჰგზავნის თავის წარმომადგენლებს და ინსტრუქტორებს, დანიშნავს წინასწარ საარჩევნო სამზადისის დღეს და აგრეთვე თემის საბჭოებისა და სამაზრო ყრილობის არჩევნების ვადას.

10. საარჩევნო კომისიას დაევალება თვალყური ადევნოს, რათა არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ იმ მოქალაქეებმა, რომელთაც საამისო უფლება აქვთ.

### 3. თემის საბჭოთა არჩევნები.

11. თემის საარჩევნო კომისიები, დაარსებისთანავე სამაზრო საარჩევნო კომისიის რწმუნებულისა ან ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით შეუდგებიან: 1 თემის ფარგლებში დასახელებული პუნქტების მოქალაქეთა აღნუსხვას ამომრჩევთა სიების შედგენით, და 2) იმ მცხოვრებთა აღნუსხვას, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ.

12 არჩევნების დღეს, საარჩევნო კრების გახსნამდე, საარჩევნო კომისია შეამოწმებს კრებაზე დამსწრეთ და განკარგულებას გასცემს, რათა, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვს, საარჩევნო კრების დარბაზი დასტოოს.

13. საარჩევნო კრების გახსნისათვის საჭიროა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის ნახევრის დასწრება. მაგრამ განსაკუთრებული პატივსადები შემთხვევების გამო საარჩევნო კრება შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად, თუნდაც ნახევარზე ნაკლები დაესწროს, ხოლო სარჩევნო კომისიის განსაკუთრებულ დადგენილებით, რაიც შეტანილ იქნეს ოქმში.

14. საარჩევნო კრების გახსნის შემდეგ, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უთმობს თავმჯდომარეობას ადგილობრივ თემის რევოლ. კომიტეტის წარმომადგენელს.

15. არჩევნების დაწყების წინ, თავმჯდომარე ეკითხება კრებას აქვს თუ არა რომელიმე ამომრჩეველთაგანს განცხადება კრებაზე დამსწრე და სიაში შეტანილ ერთისა ან რამოდენიმე ამომრჩევლის უუფლებობისათვის.

16. უკეთუ ასეთი განცხადება შემოტანილ იქნა, იგი დაუყოვნებლივ განიხილება საარჩევნო კომისიის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ განცხადება უუფლებობის შესახებ სამართლიანად იქნა ცნობილი, უუფლებო პირი მაშინვე სტოვებს კრების დარბაზს.

17. ამის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს წინასწარ წარდგენილ საბჭოს წევრთა კანდიდატების სიებს და წინადადებას აძლევს კრებას დაასახელონ კიდევ სხვა კანდიდატები.

18. თვითეული კანდიდატის შესახებ შეიძლება წინასწარ მოხდეს მსჯელობა თუ კრება ამას საჭიროდ დაინახავს.

19. ხმის მიცემის წესი (ხელის აწევით, ბარათებით ცალკე კანდიდატებისა და მთლიანად სიისათვის) განისაზღვრება სათემო საარჩევნო კომისიის მიერ.

20. არჩევნების დამთავრებისას, საარჩევნო კომისია ადგენს ოქმს (ორ ცალად) არჩევნების მიმდინარეობის თანახმად ამისათვის შემუშავებული ფორმისა, (იხ. დანართი 1).

21. არჩევნების დამთავრებისას, ოქმები და აგრეთვე ყველა სხვა საარჩევნო მასალა, თემის საარჩევნო კომისიის მიერ დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს სამაზრო საარჩევნო კომისიას, რომელიც, თავისი მხრით, ყველა საარჩევნო მასალას ამა თუ იმ მაზრის თემის საბჭოებისას გადასცემს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, გარდა საარჩევნო ოქმის მეორე ცალისა, რომელიც რჩება თემის აღმასრულებელ კომიტეტის საქმეში.

22. ახლად არჩეული თემის აღმასრულებელი კომიტეტი თემის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მონაწილეობით განიხილავს ამომრჩეველთა განცხადებებსა და საჩივრებს. უკეთუ აღმასრულებელი კომიტეტი დაინახავს, რომ ვინმე დელეგატთაგანი წეს-გარეშე არის არჩეული, ჩამოართმევს მას უფლებას და დაადგენს ან მოხდეს დეპუტატის ხელახალი არჩევა, ან მის მაგივრად მოწვეულ იქნეს პირველი კანდიდატი სიის მიხედვით.

23. განცხადება მთლად თემის საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტის წესგარეშე არჩევის შესახებ, წარედგინება სამაზრო საარჩევნო კომისიას; ასეთი განცხადების განსახილველად სამაზრო საარჩევნო კომისია დანიშნავს განსაკუთრებულ კომისიას. უკეთუ სამაზრო საარჩევნო კომისია სცნობს რომ თემის საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი წესს გარეშე არჩეული, იგი ჩამოართმევს საბჭოთა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს უფლებას და დანიშნავს ახალ არჩევნებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელობით.

24. ამომრჩეველთ, რომელთაც გაგზავნეს საბჭოში დეპუტატი, უფლება აქვთ ყოველთვის გამოიწვიონ იგი უკანვე და მოახდინონ ახალი არჩევნები, თანახმად საერთო დებულებისა.

### 4. თემის საბჭოთა და აღმასრულებელ კომიტეტის კონსტრუქცია.

25. თემის საბჭო უნდა შესდგეს იმ ანგარიშით რომ თემის ყველა დასახლებულ პუნქტების თვითეული ას მცხოვრებზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი.

**შენიშვნა 1:** თემის დასახლებული პუნქტები, სადაც 100-ზე ნაკლები მცხოვრებია უნდა შეერთდნენ.

**შენიშვნა 2:** უკეთუ შორს მდებარე პუნქტებიდან ამომრჩევლები ვერ შესძლებენ არჩევნებზე გამოცხადებას, დეპუტატების არჩევნები შეიძლება მოხდეს ადგილობრივ თემის საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი წევრისა ან რწმუნებულის ხელმძღვანელობით.

26. თემის საბჭო აირჩევს თემის აღმასრულებელ კომიტეტს, არა უმეტეს ხუთისა და არა ნაკლებ სამი წევრის შედგენილობით და შეადგენს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნების ოქმს. იგივე თემის საბჭო აირჩევს საბჭოთა სამაზრო ყრილობისათვის თითო დელეგატს თემის ყოველ 1000 მცხოვრებზე.

### 5. ქალაქებისა, სამრეწველო დასახლებულ ადგილებისა და დაბებისა და ცალკე გამოყოფილი დიდი სოფლების საბჭოები.

27. ქალაქები, დაბები, სამრეწველო დასახლებული ადგილები და დიდ სოფლები, როგორიც არის მაგალითად, ბორჯომი, ხაშური, სურამი, ცხინვალი, (გორის მაზრა) ველისციხე, ლაგოდეხი (სიღნაღის მაზრა) შულავერი (ბორჩალოს მაზრა) ტყიბული, სამტრედია, ხონი (ქუთაისის მაზრა) ჩხარი, საჩხერე, ჭიათურა (შორაპნის მაზრა), მანგლისის ტფილისის მაზრა), ლანჩხუთი (ოზურგეთის მაზრა), აარსებენ თავიანთ საბჭოებს ნორმით ერთი დეპუტატი ყოველ 1000 მცხოვრებზე, ხოლო არა უმცირეს 15 და არა უმეტეს 60 დეპუტატისა, გარდა ქალაქ ფოთისა და ტფილისისა.

**შენიშვნა:** საარჩევნო მეტრს, მუშათა წარმომადგენლობის პრინციპით, თვით განსაზღვრავენ და აცნობებენ სამაზრო საარჩევნო კომისიას.

28. საბჭო აირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს გამარტივებული საქალაქო ტიპისამებრ, 7 წევრისაგან. ქალაქები: ტფილისი, ფოთი და ბათუმი აირჩევენ აღმასრულებელ კომიტეტებს შედგენილობით 15—25 წევრამდე.

29. საბჭოები მიიღებენ მონაწილეობას სამაზრო ყრილობებში და მათი მეშვეობით საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოების

ყრილობაში გარდა ქ. ტფილისისა და ფოთისა, რომელნიც გზავნიან თავიანთ დელეგატებს საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე უშუალოდ.

**6. საბჭოთა სამაზრო ყრილობები.**

30. საბჭოთა სამაზრო ყრილობა შესდგება: თემის საბჭოთა წარმომადგენლებისაგან იმ ანგარიშით, რომ თემის ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდეს თითო დელეგატი; სამაზრო ქალაქის საბჭოს წარმომადგენელთაგან, მაზრის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქების საბჭოთა წარმომადგენელთაგან, სამრეწველო დასახლებულ ადგილებისა, დაბებისა და დიდი სოფლების წარმომადგენელთაგან იმ ანგარიშით. რომ ყოველ ორას ამომრჩეველზე მოდიოდეს თითო დელეგატი, ხოლო არა უმეტეს 300 დელეგატისა მთელი მაზრისათვის.

**შენიშვნა 1:** ჯარის ნაწილები, მოთავსებულნი სამაზრო ქალაქში, აგზავნიან თავიანთ დელეგატებს მუშათა წარმომადგენლების პრინციპის მიხედვით ე. ი ერთ დეპუტატს თვითეულ 200 ამომრჩეველზე.

**შენიშვნა 2:** ჯარის ნაწილები, მოთავსებულნი მაზრის ტერიტორიაზე, სამაზრო ქალაქს გარეშე, გზავნიან თავიანთ დელეგატებს სამაზრო ყრილობაში იმავე პრინციპით, ხოლო თვინიერ თემის საბჭოსა უშუალოდ.

31. სამაზრო ყრილობა აირჩევს სამანდატო კომისიას რიცხვით სამიდან ხუთამდე დეპუტატების რწმუნებულთა შესამოწმებლად.

32. საბჭოთა სამაზრო ყრილობა შეადგენს ყრილობის ყველა წევრთა ანკეტას (თანახმად ამასთანავე დართულ ფორმისა) აირჩევს ყრილობის პრეზიდიუმს და შეადგენს სხდომის ოქმს.

ყველა ანკეტა და ყრილობის სხდომის ოქმები უნდა გაეგზავნოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

33. სამაზრო ყრილობა აირჩევს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს არა ნაკლებ 12 და არა უმეტეს 15 წევრის შედგენილობით.

**შენიშვნა 1:** გამონაკლისს წარმოადგენს ბათუმის მხარის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც შესდგება 25 წევრისაგან.

**შენიშვნა 2:** სამაზრო ქალაქები არ ირჩევენ თავიანთ ტერიტორიაზე აღმასრულებელ კომიტეტებს, არამედ ირჩევენ მხოლოდ საბჭოს. სამაზრო ქალაქის ყოველ საქმეს განაგებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის პრეზიდიუმი ამავე დროს არის სამაზრო ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი.

**შენიშვნა 3:** განცხადება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის უკანონოდ არჩევის შესახებ წარედგინება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

**7. საქართველოს საბჭოთა ყრილობა**

34 საქართველოს საბჭოთა ყრილობა სდგება: სამაზრო და ავტონომიური ოლქების საბჭოთა ყრილობებისა, ქალაქების საბჭოებისა და სამრეწველო დასახლებული ადგილების საბჭოთა წარმომადგენელთაგან იმ ანგარიშით, რომ სამაზრო და საოლქო ყრილობების სოფლის ყოველ 10,000 მცხოვრებზე მოდიოდეს ერთი დელეგატი, ხოლო ქალაქებისა და სამრეწველო დასახლებულ ადგილების საბჭოების ყოველ 2000 ამომრჩევლებზე მოდიოდეს ერთი დელეგატი

**შენიშვნა:** განცხადება საქართველოს საბჭოთა ყრილობის დელეგატების უკანონოდ არჩევის შესახებ უნდა წარედგინოს საქართველოს საბჭოთა ყრილობას.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბ. კვირკელია.**

საქმეთა მმართველი **ვ. ხახანაშვილი.**

1921 წ. დეკემბრის 22-ს
ტფილისი.

# ინსტრუქცია

## ინსტრუქციები საქ. სოც. საბჭ. რესპ. საბჭოთა საარჩევნო კომისიებს.

I.

**რისი ცოდნაა აუცილებელი ინსტრუქტორებისა და საარჩევნო კომისიათათვის.**

ინსტრუქტორებმა და საარჩევნო კომისიებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ:

1. დებულება არჩევნებისა—გამოქვეყნებული საქართველოს რევკომის მიერ.

2. ვინაიდან საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია უნდა გამომუშავდეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის მიერ, ასეთის უქონლობის გამო, აუცილებელია რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის ცოდნა და მისი ხელმძღვანელობა იმ პრინციპიალურ საკითხების გადაწყვეტის დროს, რომელიც შეიძლება დაისვას ადგილობრივ.

3. საბჭოთა ხელისუფლების პრინციპები და ძირითადი დებულებანი რუსეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციაზე დამყარებით (მიხედვით, განმარტებული და დალაგებული არიან საბჭოთა მე-7 და მე-8 ყრილობათა დადგენილებებში, ამისათვის ინსტრუქტორებმა და საარჩევნო კომისიებმა უნდა იცოდნენ ამ დადგენილებათა ის ნაწილი, რომელიც საბჭოთა აღმშენებლობას შეეხება.

4 ცენტრ. აღმასრ. კომიტ მიერ გამოცემული მთელი ხელმძღვანელი ლიტერატურა.

5 საბჭოთა ხელისუფლების აღმოცენების ისტორია რუსეთში და საქართველოში.

II.

**თემის საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნების წესი.**

6. ინსტრუქტორები თემის არჩევნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ადგილობრივ ჩასვლისას, უნდა გამოეცხადონ თემის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და გაეცნონ იმ ნამუშევარს, რომელიც თემის საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ არის ნაწარმოები.

7. უკეთუ, ინსტრუქტორის თემში მისვლის ხანს კიდევ არ არის შექმნილი თემის საარჩევნო კომისია. ინსტრუქტორი ამის შესახებ ცნობას აძლევს სამაზრო რევკომს და სამაზრო საარჩევნო კომისიას, რომელნიც მიიღებენ ზომებს თემის საარჩევნო კომისიის შესაქმნელად.

8. უკეთუ, თემის საარჩევნო კომისიის მიერ არ არის აღნუსხული რიცხვი და პიროვნებანი, რომელთაც აქვთ უფლება აირჩიონ და თვითონაც იქნენ არჩეულნი. ინსტრუქტორი ვალდებულია გაუწიოს დახმარება თემის საარჩევნო კომისიას და შეასრულოს მასთან ერთად საჭირო მუშაობა.

9. უკეთუ, საარჩევნო კომისია უკვე შექმნილი არის,—ინსტრუქტორი ვალდებულია შეამოწმოს სისწორე აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა აღნუსხვისა, არის თუ არა შეტანილი სიაში, თუ ის შედგენილია დებულების თანახმად. საარჩევნო უფლებას მოკლებული პირები და ან არის თუ არა საერთოდ საჩივრები შედგენილი სიის გამო.

10. თემის საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყველა, ვისაც საარჩევნო უფლება არა აქვს ჩამორთმეული, როგორც სოფლის მუდმივი მცხოვრებნი, აგრეთვე დროებით მცხოვრებელნიც (როგორიცაა მაგ. მწყემსები, შეშის მჭრელნი, შეშის სამზადისზე მომუშავენი და სხვ.) თანახმად დებულებისა.

11. სიების შემოწმების შემდეგ, ინსტრუქტორმა უნდა მოიწვიოს რამოდენიმე წინასწარი საარჩევნო კრებები, რომელზედაც მან უნდა აუხსნას ამომრჩეველთ:

ა) საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტში არჩევნების წესი, ბ) საბჭოთა ხელისუფლების ისტორია რუსეთში და საქართველოში, გ) რათა აქვს ზოგ მოქალაქეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და ზოგს კი ეს უფლება არა აქვს, დ) არჩევნების მნიშვნელობა, ვ) აქამდე რატომ რევკომები არსებობდნენ და ეხლა კი საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები აირჩევიან, ი რა არის საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი, კ საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტის შორის ურთიერთი დამოკიდებულება, ლ საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტის მოღვაწეობის წრე, მ) თემისა და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს შორის ურთიერთი დამოკიდებულება.

12 თემის საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებისათვის დანიშნულ დღეს ინსტრუქტორისათვის აუცილებელია დაიწყება და თვალყურის დევნება: ესწრობა თუ არა კრებას საკმარისი რიცხვი ამომრჩეველთა, სწორად წარმოება თუ არა კრება და როგორ არის გადაწყვეტილი უკუსაჩივრის განცხადებანი (განცხადებანი რომელიმ ამომრჩევლისათვის, ამა თუ იმ საბუთით, საარჩევნო უფლების წართმევის შესახებ) და საჩივრები, თუ ასეთებს ქონდათ ადგილი.

13. სათემო საბჭოები, თანახმად საარჩევნო დებულებისა, შეიქმნებიან იმ ანგარიშით, რომ სოფლის მოსახლეობის ყოველ 100 მცხოვრებზე მოდიოდეს 1 დელეგატი. იმ შემთხვევაში, თუ თემის საზღვრებში შედის რამოდენიმე სოფელი, რომელთა ამომრჩევლებს რაიმე მიზეზის გამო (ავდარი, მანძილთა სიშორე და სხვ.) არ შეუძლიათ არჩევნებზე გამოცხადება, საარჩევნო კომისიის რომელიმე წევრი ან რწმუნებული ინსტრუქტორთან ერთად მიდიან ადგილობრივ და აქ ახდენენ არჩევნებს არსებული ნორმის თანახმად, რის შესახებაც ადგენენ ოქმს.

14. ინსტრუქტორებმა და საარჩევნო კომისიებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ ერთმა და იმავე მოქალაქემ ორჯერ არ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

15. თემის საბჭოს არჩევის შემდეგ, თუ არ არის საჩივრები მისი წესს გარეშე არჩევის შესახებ, დაინიშნება მისი პირველი სხდომა, რომელზედაც აირჩევა აღმასრულებელი კომიტეტი რიცხვით არა უმეტესი 5 და არა უმცირეს 3 წევრისა და დელეგატები საბჭოთა სამაზრო ყრილობაზე იმ ანგარიშით, რომ ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდეს 1 დელეგატი.

3.

**როგორ არსდებიან ქალაქებისა, დაბებისა, სამრეწველო დასახლებულ ადგილებისა და ცალკე გამოყოფილ მსხვილ სოფელთა საბჭოები.**

16 ინსტრუქტორებს, იმ ადგილების მცხოვრებთა რაოდენობის გამორკვევის დროს, სადაც ქალაქის გამარტივებული ტიპის აღმასრულებელი კომიტეტები შეიქმნებიან, (ჩამოთვლილია არჩევნების დებულებებში) მართებთ იხელმძღვანელონ 1917 წლის აღწერით.

17. არჩევნების დებულების თანახმად, დებულებაში ჩამოთვლილი ადმინისტრატიული ერთეულები ქმნიან საბჭოს იმ ანგარიშით, რომ ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდეს თითო დეპუტატი მათ მიერ გამომუშავებულ მეტრის მიხედვით. ამის გაგება აუცილებელია ამგვარად; თუ ქალაქში 20000 მცხოვრებია, მაშინ საბჭო შესდგება 20 დეპუტატისაგან, მაგრამ ვინაიდან ყველა არ იღებს არჩევნებში მონაწილეობას, არამედ მხოლოდ მშრომელნი, ამიტომ ვგულისხმობთ, რომ ამომრჩევლები იქნებიან 1600 კაცი ქალაქის მოსახლეობის მთელი რიცხვიდან, მაშასადამე საარჩევნო მეტრი იქნება 1600:20 – 80 ამომრჩეველნი ე. ი. 80 ამომრჩეველზე მოდის საბჭოს 1 დეპუტატი

**საარჩევნო მეტრი ქანაობს მოცემულ დასახლებულ ადგილის მოსახლეობასა და ამომრჩეველთა რიცხვის შორის.**

18. საბჭოს არჩევნების შემდეგ დაინიშნება მისი პირველი სხდომა, რომელზედაც აირჩევიან 7 წევრი აღმასრულებელი კომიტეტისა და დელეგატები საბჭოთა სამაზრო ყრილობაზე იმ ანგარიშით, რომ ყოველ 200 ამომრჩეველზე მოდიოდეს 1 დელეგატი, მაშასადამე, ზემოთ მოყვანილ მაგალითისამებრ, 1600.100 – 16 დელეგატი.

IV.

19. სამაზრო საარჩევნო კომისიები დაარსდებიან სამაზრო რევკომის მიერ ხუთი პირისაგან, თანახმად ცენტრალურ საარჩევნო კომისიის დადგენილებისა.

20. სამაზრო საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან: ა) დაარსონ სათემო საარჩევნო კომისიები, ბ) თვალყური ადევნონ მათი მოქმედებათა დროულად დაწყებას და არჩევნების წარმოებას. გ) ხელმძღვანელობა გაუწიონ დაბლა მდგომ კომისიებს და მათ რწმუნებულებს დ) აცნობონ არჩევნების მიმდინარეობის შესახებ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს. ე) წარუდგინონ ყველა საარჩევნო ნაწარმოები სამაზრო აღმასრ. კომიტეტს. წარუდგინონ სამაზრო აღმასრ. კომიტეტს თემის საარჩევნო კომისიის დაშლისა ან მისი ცალკე წევრის გადაყენების შესახებ. ვ) დანიშნონ თავიანთი წარმომადგენლები თემის საარჩევნო კომისიაში მათი თავმჯდომარის უფლებებით. ზ) განიხილონ თემის საარჩევნო კომისიის მოქმედებათა გამო საჩივრები და პროტესტები, ი) ხელმძღვანელობა გაუწიონ საარჩევნო კომისიებს იმ პუნქტებში, სადაც უნდა შეიქმნეს საქალაქო გამარტივებულ ტიპის აღმასრულებელი კომიტეტი და კ) მოიწვიოს სამაზრო ყრილობები, რომელსაც უკეთებენ მოხსენებას თავისი მუშაობისა და არჩევნების შედეგების შესახებ.

V.

**როგორ შეიქმნებიან სამაზრო ყრილობები.**

21. სამაზრო ყრილობები, დებულების თანახმად, შესდგებიან იმ ანგარიშით, რომ სოფლის მოსახლეობის ყოველ 1000 მცხოვრებზე ან ქალაქთა და გამოყოფილ საწარმოო დასახლებულ ადგილთა ყოველ 200 ამომრჩეველზე მოდიოდეს 1 დელეგატი.

22. სამაზრო ყრილობაზე არჩეულ დელეგატებს თან უნდა ქონდეს საბჭოთა იმ სხდომის ოქმი, რომელზედაც ისინი არჩეულ იქნენ და აგრეთვე მანდატი საბჭოს თავმჯდომარის და მდივნის ხელმოწერით.

**შენიშვნა:** ოქმში უნდა იყოს ნაჩვენები მცხოვრებთა ან ამომრჩეველთა რომელ რიცხვიდან არის არჩეული დელეგატთა განსაზღვრული რიცხვი და სახელდობრ ვინ.

23. სამაზრო ყრილობა აირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს 12-დან 15 კაცამდე.

24. თემის, ქალაქის და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის არჩევის შემდეგ რევკომის შემადგენლობამ უნდა ჩააბაროს ყველა საქმეები, დოკუმენტები, ფულის ნიშნები, ქონება და ინვენტარი, სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს, რის შესახებ უნდა შესდგეს განსაკუთრებული აქტი ჩამბარებლის და მიმღების ხელმოწერით. აღნიშნული აქტი შეინახება აღმასრულებელ კომიტეტის საქმეებში.

VI

**ამომრჩევლებს აქვთ უფლება ყოველ დროს გამოიწვიონ უკანვე მათ მიერ არჩეული დეპუტატი.**

25. ამომრჩეველთ რომელთაც გაგზავნეს თემის თუ ქალაქის საბჭოში დეპუტატი აქვთ უფლება ყოველ დროს გამოიწვიონ იგი უკანვე. უკეთუ ამომრჩეველთა უმრავლესობა წარმოადგენს მოთხოვნას ამა თუ იმ დეპუტატის უკანვე გამოწვევის შესახებ, მაშინ საბჭო ვალდებულია მოიწვიოს ამავე საბჭოს ამომრჩეველთა საერთო კრება. კრების უმრავლესობის დადგენილებით დეპუტატი საბჭოდან გასულად ჩაითვლება.

26. თემის ან ქალაქის საბჭოს გამოაქვს დადგენილება თავის შემადგენლობიდან დეპუტატის გასვლის შესახებ მათ რწმუნებულებათა ვადის დამთავრებამდე: ა) იმ შემთხვევაში. თუ დეპუტატმა არ წარმოადგინა ანგარიში თავის ამომრჩევლებს ან არ შეასრულა საბჭოს მიერ მისდამი დაკისრებული დავალება.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატი მისჯილ იქნება ისეთ დანაშაულისათვის, რომელიც მას ართმევს საბჭოს წევრად ყოფნის უფლებას, თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კანონებისა.

27 რწმუნებულების ვადის დამთავრებამდე, საბჭოს შემადგენლობიდან გასულ დეპუტატს შესცვლის საბჭოს წევრობის კანდიდატი.

VII

28. ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელმძღვანელობას უწევს არჩევნებს მთელს საქართველოში და უკეთებს მოხსენებას თავის მოღვაწეობისა და მთელს საქართველოში არჩევნების შედეგების შესახებ სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას.

VIII

29. სრულიად საქართველოს ყრილობა შესდგება სამაზრო ყრილობათა, და თავის ზოგადების, უშუალოდ წარმგზავნელ ორი ქალაქის—ტფილისისა და ფოთის, დელეგატთაგან იმ ანგარიშით რომ სოფლის მოსახლეობის ყოველ 1000 მცხოვრებზე და იმ ქალაქის და საწარმოო დასახლებულ ადგილებისა, რომელნიც მუშათა წარმომადგენლობის პრინციპის მიხედვით აირჩევიან—ყოველ 2000 ამომრჩეველზე მოდიოდეს 1 დელეგატი.

მაგალითად—თუ დავუშვით, რომ მაზრაში არის სოფლის მოსახლეობის 200 000 მცხოვრები და სამაზრო და მაზრის ფარგლებში მდებარე ქალაქებისა და საწარმოო პუნქტების 8000 ამომრჩეველი, სრულიად საქართველოს ყრილობაზე სამაზრო ყრილობის მიერ აირჩევიან 20 დელეგატი სოფლის მოსახლეობისა და 4 დელეგატი სამაზრო, და მაზრის ფარგლებში მდებარე ქალაქებიდან და საწარმოო პუნქტებიდან—სულ 24 დელეგატი.

30. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის და სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების არჩევის შესახებ იწერება ოქმები, რომელნიც გადაეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მეორე ცალის გამოკლებით, რომელიც უნდა დარჩეს აღმასრულებელ კომიტეტის საქმეებში.

31. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე არჩეულ დელეგატებს თან უნდა ქონდეს სამაზრო ყრილობის ოქმი, მათი არჩევის შესახებ, სადაც უნდა იყოს ნაჩვენები მათი ამომრჩეველ მოსახლეობის და და ამომრჩეველთა რიცხვი.

**შენიშვნა:** ანკეტები და ოქმები უნდა იქნეს შემოწმებული თავმჯდომარის და მდივნის ხელმოწერით და სათანადო ბეჭდის დასმით.

32. ინსტრუქტორები აწარმოებენ დღიურს და ჩააბარებენ თავიანთ მოგზაურობის ანგარიშს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

**საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოების მოწვევის ცენტრალური საარჩევნო კომისია.**

# სალამი თბილისს!..

ძღვნათ თბილისის საბჭოს)

დღეს საქართველო შემყურეა ძველი თბილისის,
თბილისი იქცა მხედველობის დღეს იმის ცენტრად,
სადაც ჩაქუჩის, ნამგლის, ხერხის და შალაშინის
ხმები შეწნულან, შეწყობილან ერთ ტკბილ კონცერტად!..

და ამ კონცერტში ცხადათ ისმის, ვით მოძახილი,
მუშათა მკერდით აღმომსკდარი მძლავრი გუგუნი,
მას იმეორს ქართლის მთით და ბარით ტყე ატეხილი,
მინდორი, ველი, მწირი ხნული, თუ ხოდაბუნი ..

და ყველა ერთი აზრით, გრძნობით გამსჭვალულია,
ყველას აერთებს ერთი რწმენა, ერთი იმედი,
რომ დღე ახალი დღეთა ძველთა დასასრულია:
დღეს მუშათ ხელით იჭედება მუშათა ბედი!..

და მეც შორიდგან სალამს გიძღვნი, ძველო თბილისო!
შრომის ტაძარში სიონი ხომ გადმოვიტანე.
ეხლა, გთხოვ, ასე სხვა მიზნებიც აგვიმაისო:
აგვიყვავილე რწმენის ბუჩქი და აგვიმწვანე!.

და შორს არ არის სანატრელი იგი „აღდგომა“,
როცა მონობის ჯაჭვი ქვეყნად სულ დაიმსხვრევა,
როს დაიმკვიდრებს მთელ მსოფლიოს ბრწყინვალე შრომა,
და ერთი ერი სხვა ერთ ძმურად გადაეხვევა...

და შენ, ამ ნანატრ მომავალის, დიდო სამრეკლოვ,
ააუზგუზე მაგ ქურაში გამდნობი ცეცხლი!
დაჰკარ მეზარევ! შენ კი ხმები ჰფანტე, სამრეკლოვ,
მძიმე, ვით ოქრო, და წკრიალა ვითარცა ვერცხლი!..

და მეც ჩემს სუსტ ხმას შევუერთებ შენს ძლიერ ხმებსა,
რომ შეუერთდეს მათ მსოფლიოს სხვა აკკორდები,
თავს შემოევლონ მთელი ქვეყნის ბარსა და მთებსა:
გამოაცოცხლონ ბრძოლის ველნი, შრომის კორდები!

**ნ. ზომლეთელი.**

# ისევ ფედერაცია

პირველ წერილებში ფედერაციაზე *) მე ვამტკიცებდი შემდეგს: 1) ფედრაცია ახლანდელ პირობებში ერთათ ერთი სახელმწიფოებრივი ფორმაა, რომელშიაც პროლეტარიატის დიქტატურა შეიძლება განხორციელდეს; 2) ფედრაცია შეიძლება იყოს ეროვნულ-ტერიტორიალური (შვეიცარიის რესპუბლიკა) და მხოლოთ ტერიტორიალური (გერმანია და ამერიკის შეერთებული შტატები ; 3) ფედერაცია, როგორც სახელმწიფო საერთოთ, არის ბურჟუაზიულიც და პროლეტარულიც; 4 ამიერ-კავკასიის ფედერაცია, ცხადია, წარმოადგენს პროლეტარულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, მოწოდებულია დაიცვას პროლეტარული რევოლიუცია იმპერიალისტური კონტრ-რევოლიუციისაგან და გაატაროს პროლეტარიატის დიქტატურა ამიერ-კავკასიაში და 5 კავბიუროს დადგენილება ამიერ კავკასიის ფედერაციაზე გამომდინარეობს კომუნისტური პარტიის მიერ მიმდინარე მომენტის დაფასებიდან, რისთვისაც ეს დადგენილება სრულიათ საფუძვლიანია და მისაღები.

ამნაირათ გადაწყვეტილი საქმეა, რომ ფედერაციამ სისხლ-ხორცი უნდა შეისხას დღეს ჩვენში.

აქეთკენ ახალი პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა სათანადო ორგანიზაციამ: გაიმართა „ფედერაციის კამპანია“ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში, გატარდა კავბიუროს დადგენილება ფედერაციაზე საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციებში გაიმართა სახალხო მიტინგები პროვინციაში და შედგა ცენტრში, თბილისში ამიერ - კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების თათბირი შემუშავებულ იქნა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების „კავშირის ხელშეკრულების“ პროექტი და მოეწყო კომისიები საჭირო წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის ჩასატარებელ საწარმოებლათ.

ამნაირათ ახლო მომავალში უნდა აღმოცენდეს ამიერ-კავკასიის პროლეტარული ფედერაცია.

მაგრამ ფედერაცია რომ გამაგრდეს და გამტკიცდეს ჩვენში, ამისთვის, ცხადია, საჭიროა სანქცია თვით მშრომელთა მასის, დასტური ამ მასების გამომხატველი უზენაესი ორგანოსი, ე. ი. მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების.

და აი კომუნისტური პარტიაც ისწრაფვის, რომ საქართველო მოფინოს ასეთი საბჭოებით, ის უკვე შეუდგა საარჩევნო კამპანიას და 25 თებერვლისათვის ჩვენ თბილისში, საქართველოს გულში საქართველოს სვე-ბედის საბოლოოთ გადამწყვეტი, სრულ უფლებიანი ორგანოც გვეყოლება.

ამ მომენტს გულის ფანცქალით ელიან ყველა ჩვენი მტერ-მოყვარენი.

მტრები, როგორც შინაურები ისე გარეთ მყოფნი იმ იმედით ცოცხლობენ, რომ ქართველი ხალხი კომუნისტურ პარტიას მალე ზურგს შეაქცევს და ნებისყოფას საბჭოებში თავისუფლათ გამოთქვამს; იქ ის იტყვის უკანასკნელ საბოლოვო სიტყვას, რომლითაც გადაჭრით განაცხადებს, თუ „მართვა-გამგეობის როგორი ფორმა სურს მას დააკანონოს“. ამას მოითხოვენ მსოფლიო ოპორტიუნიზმის და იმპერიალიზმის სულის ჩამდგმელნი, ყვითელი ინტერნაციონალის ბელადები, ამაზე ოცნებობენ ჩვენი გადახვეწილი ყოფილი ბატონ-პატრონები ჟორდანია ჩხეიძის მეთაურობით; და აჰა მალე, სულ მალე იხილვენ და ყურად იღებენ ისინი, თუ რას ეტყვის მათ და მათს მფარველებს, მთელი მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის ბელადებს საქართველოს ხალხი თავისი სრულუფლებიანი საბჭოების პირით. მაშინ უნდა შეჩერდეს კაუცკის კალმის მუშაობა, შეწყდეს მაკდონალდის დიპლომატობა, რენოდელის ორატორობა და ვანდერველდეს მოხსენებები საქართველოს ტერიტორიის ძალით დაკავებაზე რუსეთის წითელი არმიის მიერ. მაშინ უნდა გამოაშკარავდეს: საქართველო „დაპყრობილია“ რუსეთის პროლეტარული შეიარაღებული ძალების მიერ, თუ იგი თავისი ნებით, სრული კმაყოფილებით ეგებება პროლეტარიატის დიქტატურას და საბოლოვოთ ზურგს აქცევს იმპერიალიზმს, ერთხელ და საბოლოვოთ ადგილს იკავებს რუსეთის საბჭოთა გვერდით და ხელაღებით დგება არა „ნეიტრალიტეტის“ პოზიციაზე, არამედ მსოფლიო რევოლიუციის ფრონტზე—მოწინავე რიგებში.

ამ მიზნით ის აარსებს ამიერ-კავკასიის ფედერაციას და მზათ არის ამ ფედერაციის დროშის ქვეშ თავი მოუყაროს მთელ თავის მეომარ ძალებს.

ამ მომენტს ველით ჩვენც და ჩვენთან ერთათ მსოფლიო პროლეტარიატიც. ეს მეტათ დიდ მნიშვნელოვანი მომენტია არა მარტო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, არამედ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის მსვლელობაშიაც, ვინაიდან საქართველოს საბჭოებმა უნდა სთქვან: ექნება ამიერ-კავკასიაში მსოფლიო რევოლიუციას სამოქმედოთ საიმედო ბაზა, თუ არა!!

თუ ექნება,—ეს საიმედო ბაზა არის სწორეთ ის ფედერაცია, რომლის განხორციელება და დაარსება სადღეისო საქმეთ არის აღიარებული.

**რაჟდენ კალაძე.**

---

*) „კომუნისტის“ №№ 223, 224 დ 225.

# რუსეთის საბჭოთა მე 9-ე ყრილობა

**მოსკოვი, 24 დეკემბერი.** (რადიო).

**ყრილობის გახსნა.**

დარბაზი ხალხით სავსეა. ბევრია უცხოელები. ორი ლოჟა უკავიათ ამერიკელებს. ბლომად არიან უცხოეთის პრესის წარმომადგენელნი. ამხ. კალინინი ყრილობას გახსნილად აცხადებს. გადამწყვეტი ხმით ესწრებიან 1 605 დელეგატი, სათათბიროთ 346. ირჩევენ პრეზიდიუმს: ამხ.—კალინინი, ლენინი, ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, ტროცკი, სტალინი, მოლოტოვი, უზბუტაკი, ტომსკი, შლიაპნიკოვი, იაროსლავსკი, საფრონოვი, ვორონოვი, ოსინსკი, სმირნოვი, ენუქიძე, ორჯონიკიძე და სხვა.

ყრილობის თავმჯდომარედ ირჩევენ ამხ კალინინს. სამანდატო კომისია: ამხ. მაქსიმოვსკი, ორლოვი, სირცოვი, სალოვსკი და ზორინი. იღებენ შემდეგი დღის წესრიგს: აღმ. კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიში რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ; მოხსენება დამშეულთადმი დახმარებაზე; ახალ ეკონომიური პოლიტიკის წინასწარი შედეგები; მრეწველობის მდგომარეობა; სასოფლო მეურნეობის აღორძინება, ბრძოლა შიმშილობისგან დაზარალებულ ადგილებში; ფინანსები და ბიუჯეტი; საკოოპერაციო კანონმდებლობა; საერთაშორისო მდგომარეობა; წითელ-

არმიის აღმშენებლობის საკითხები და საბჭოთა აღმშენებლობა; რუსეთის ელექტროფიკაცია, ც. აღმ. კომიტეტის არჩევნები.

**მოძმე რესპუბლიკების მისალმებანი.**

საქართველოს წარმომადგენელი სიხარულით აღნიშნავს, რომ საქართველოს მშრომელებმა თავი დააღწიეს მენშევიკების ღ ანტანტის უღელს; რუსეთის მამაცი წითელი არმიის დახმარებით ჩვენ დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ. გამოტოვებულია)... ჩვენში ერთხელ და სამუდამოდ. ეხლა ჩვენ გვაქვს ერთი ორიენტაცია, ორიენტაცია დიდი საბჭოთა რუსეთისა (გამოტოვებულია)..

მას ცვლის აზერბეიჯანის წარმომადგენელი (ბლომადაა გამოტოვებული)...

ვაშინგტონში დგას საკითხი მეორე კონფერენციის მოწვევისა გერმანიის და რუსეთის მონაწილეობით.

**ახალი ეკონომიური პოლიტიკა.**

მთავარი, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი რევოლიუციისა, არამედ ყველა ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლიუციებისათვის, ესაა საკითხი კავშირის ფორმის შესახებ მუშათა კლასსა და გლეხობის შორის. უნდა დავმტკიცებინა გლეხობისათვის, რომ ამ კავშირით ისინი დაინტერესებული არიან, რომ ეს კავშირი საწინდარია იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტის და კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა კრიზისების და უმუშევრობის მოსასპობად. მუშებს ესმით თუ როგორ უნდა მოაგვარონ ეს კავშირი. ომის განმავლობაში ჩვენ იძულებული შევიქენით უფრო შორს წავსულიყავით, ვინემ ეს კავშირი გულისხმობს, მაგრამ ჩვენ მაშინ უფლება გვქონდა ასე მოვქცეულიყავით. ჩვენ გავიმარჯვეთ. ჩვენ არ უნდა დავმალოთ ჩვენი შეცდომები. ეხლა საჭიროა ჩვენ ვაჭრობა შევისწავლოთ. რევოლიუციის დაღუპვა იქნებოდა, რომ გამოგვეთიშა გლეხებისაგან ფრიად შორს წაწეული პროლეტარიატი.

**საჭიროა მთლიანად აკრიფოთ სასურსათო გადასახადი.**

არ გაგონილმა სიმშილმა გაართულა მდგომარეობა. ამერიკის მთავრობამ წინადადება მოგვცა შეგვეძინა თესლეული 20 მილ. დოლარისა (ოქროთი 40 მილ. მან.) (გამოშვებულია ...

**მრეწველობის აღორძინება.**

ქვეყნის სათბობი მასალით მომარაგების სფეროში ეტყობა გაუმჯობესობა, მაგრამ მიღწეული შედეგები საკმარისი არ არის. საჭიროა უფრო დიდი ენერგიის გამოჩენა და ძალღონის მოკრება სასურსათო და სათბობის დარგებში. ლითონის მრეწველობაში მუშაობა უმნიშვნელო მინიმუმ-მდე დავიდა, მაგრამ აქაც ბოლო დროს ემჩნევა ნელი, მაგრამ შეუჩერებელი წინწაწევა. ელექტროფიკაციის სფეროშიაც ჩვენ მივაღწიეთ ზოგიერთ წარმატებებს. 1918—1919 წლ. ჩვენ გავმართეთ და გავხსენით 51 წვრილი ელექტრონული სადგური, 1920—21 წლ.—221. უკანასკნელ ორ წელში ავაშენეთ და ავამუშავეთ მრავალი სადგური სოფლადაც. ამასთან დაკავშირებით გლეხური მასები უფრო და უფრო იმჭკალებიან შემეცნები, რომ რუსეთში არა ყოველთვის იქნება (დაბინძურებულია), არა მუდამ იქნება ხმარებაში სახნისი. 1920 წელში ჩვენ ამოვიღეთ ტორფი 93 მილ., 1921 წ.—239 მილ. ფუთი. აქ ჩვენ გადავაჭარბეთ ომამდე არსებულ ნორმას.

**ძირითადი ამოცანა—მუშებისა და გლეხების გაერთიანება.**

ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველია მუშებისა და გლეხებს კავშირი. ჩვენ გვინდა აგრეთვე ჩქარა გადავჭრათ სამეურნეო ამოცანები, სამხედრო და პოლიტიკურნიც. ჩვენ უნდა გადავხარშოთ მიღწეული პოლიტიკური მონაპოვარნი, რათა ისინი გავიჯდეს ძვალსა და რბილში. საგანგებო კომისია იწვევს მთელი ჩვენი მიგრაციის სიძულვილს. ეს სავსებით ასაგებია. იგი ჩვენ გვჭიროდა და მან დიდი სამსახური გაუწია პროლეტარულ რევოლიუციას. შემდგომში საგანგებო კომისია უნდა განისაზღვროს პოლიტიკური სფეროთი. იგი ეწინდებურად ძირშივე უნდა კლავდეს და სპობდეს ყოველგვარ კონტრრევოლიუციონურ შეთქმულებას და სასტიკად სჯიდეს ყოველგვარ პოლიტიკურ დანაშაულს. ყველაფერი დანარჩენი უნდა ჩამოეცილოს მას. ჩვენი მთავარი ეკონომიური ამოცანა—გავაერთიანოთ მუშები ღ გლეხები მძლავრ ეკონომიურ კავშირში—სავსებით სწორია.

ესაა არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი მსოფლიოს ამოცანაც. კაპიტალი იღუპება, მთელ მსოფლიოში იქმნება ახალი საზოგადოება—მუშა-გლეხთა კავშირი. ადრე თუ გვიან ეს კავშირი მომხდარ ფაქტად იქცევა.

**თოხკოვი 26 დეკემბერი** (რადიო (დასაწყისი არ მიღებულია)... სიმშილის მთავარი მიზეზია—გვალვა და (დაბინძურებულია ... კალია. კლიმატიურ მიზეზს გარდა სიმშილს ჰქონდა სოციალური საფუძველი. სიმშილი გაბატონებულ კლასებს გლეხობის დამონების საშუალებას აძლევდა. სიმშილი გლეხს ეუბნებოდა მემამულის და კაპიტალისტის მონად გამხდარიყო. ეს ცარის მთავრობა დაინტერესებული იყო სიმშილობით (გამოტოვებულია ... ებრძოდა სიმშილს, რამდენადაც ეს იფარავდა—მას პირდაპირი თავდასხმის საშიშროებიდან. 1921 წლის სიმშილი მოულოდნელობა არ ყოფილა. 1914 წლიდან დაწყებული ჩვენ ვამჩნევთ სასოფლო მეურნეობის სისტემატიურ დაქვეითებას. 1920 წელი ახლობელი უბედურების პირდაპირი წინამაუწყებელი იყო.

**მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს დახმარება.**

21 ივლისს ც. ა. კ თან მოეწყო სიმშილობასთან მებრძოლი ცენტრალური კომისია. დამშეულთა რიცხვი ახლა არის არა ნაკლებ 22 მილიონი კაცისა, თუ ვიანგარიშებთ მხოლოდ ოფიციალურად დამშეულებად ცნობილ რაიონების მოსახლეობას. გარდა ოფიციალურად ცნობილ დამშეულ ხალხისა, უნდა ვიანგარიშოთ. რომ კიდევ არიან არა ნაკლებ 5 მილიონისა (დამახინჯებულია)... მთელი 12 მილ. ფუთი შევაგროვეთ და მივაწოდეთ დამშეულებს, ამასთან 11 მილ. ფუთის დათესვა მოვასწარით გლეხთა ყანებზე. ამოცანა მძიმე იყო, მაგრამ ჩვენ მას თავი გავართვით, რადგან ხლეხობა მხურვალედ გვეხმარებოდა. ჩვენ წინაშე დგას დიდი ამოცანა გაზაფხულის სათესი კამპანიისათვის მომზადებისა. მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის პირვანდელი გეგმის მიხედვით საჭირო იყო 4 მილ. ფუთი საგაზ. თესლი. იძულებული ვიყავით ეს ციფრი შეგვემცირებინა 25 მილიონამდე: უკვე შეუდექით გეგმის ასრულებას. წარმოებას თესლის მოგროვება, დაწმენდა, ნაწილობრივი შერჩევა. სასურსათო გადასახადის სუსტად შემოსვლა კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს გასაჭირს. მთავრობის მიერ დამშეულთადმი აღმოჩენილი დახმარება უდრის ოქროს ვალიუტით 100 მილ. მანეთზე მეტს. იგულისხმება, ეს დახმარება გაცილებით არაა საკმარისი, მაგრამ ბიუჯეტთან შედარებით, რომლითაც ახლა ცხოვრობს რესპუბლიკა, ეს ჯამი მძიმე ტვირთად დაგვაწვა. არასოდეს წინანდელი სიმშილობის შემთხვევებში რუსეთის ეგრეწოდებული საზოგადოებას არ აღმოუჩენია ისეთი დახმარება, როგორიც გაიღეს მუშებმა და გლეხებმა, დახმარება არამც თუ კლებულობს, თანდათან მატულობს. დახმარება საზღვარ-გარეთიდან უდრის 2380,000 ფუთ. სხვა და სხვა საქონელს და 4 მილიონამდი მანეთს (ოქროთი). ახლანდელი უბედურების სიდიდე აღემატება ყველა წინანდელ სიმშილობას.

**ბრძოლის აღმზრდელობითი მნიშვნელობა.**

სიმშილმა დააზარალა რუსეთის ერთი საუკეთესო ნაწილთაგანი. დახმარებას უნდა მოვახმაროთ მთელი ჩვენი ძალღონე. მთავარი მიზანია—ორგანიზაციულად დავეუფლოთ გლეხობას და იძულებულ მყოთ იგი დახმარებისათვის. ეს მოგვცემს არა მარტო კარგ პრაქტიკულ შედეგს, არამედ მას ექნება მშვენიერი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც, ვინაიდან ნოვგოროდის გუბ. გლეხს, რომელიც სწრაფის ჩუვაშის დასახმარებლად, და პირიქით—ჩუვაშს, რომელიც ღებულობს დახმარებას ნოვგოროდის გლეხისაგან, უფართოვდებათ ჩვეულებრივი თვალთა-ხედვა მთელი საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებამდე.

**დაგვეხმარებიან მხოლოდ მშრომელნი.**

ამხ. სოკოვსკი თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ ამერიკის მთავრობა ხარჯავს 1 დოლარს დღეში დამშეულ ბავშვისთვის, მაშინ როცა დენიკინის თითეულ ჯარისკაცზე იგი ხარჯავდა 4 ნახევარ დოლარს.

**სიმშილის საშინელებანი.**

ამხ. ანტონოვ—ავსენკო, სამარის გუბაღმკომის თავმჯდომარე, ამბობს, რომ გაწეულ დახმარების წყალობით სამარის გუბერნიამ შესძლო დაეთესა 500,000 დეს. ხოლო დამზადებულია დასათესად 800,000 დეს, მაგრამ ყველაფერი ეს არ არის საკმარისი (გამოტოვებულია). ორატორს მოყავს მთელი რიგი ციფრები: ბუგურუსლავის მაზრაში 50 თემიდან ამოწყდა 20 თემის მოსახლეობა; სტავროპოლის მაზრაში ითვლებოდა 120,000 მოსახლეობა, მათგან მხოლოდ 104,000 მიაღწევენ გაზაფხულამდე. დანარჩენებს სიმშილით სიკვდილი მოელით, ბელეკეის მაზრაში სიმშილობენ ყველა თემები, პირუტყვი თითქმის მთლად გაქრა; სამარის მაზრაში ზოგიერთი ცნობებით ითვლება 20.000 ავადმყოფზე მეტი, რომელნიც სიმშილისგან დასივდნენ და იტანჯებიან. რამოდენიმე ათასი კაცი ამოწყდა. დეე ეს ავადმყოფნი და გარდაცვლილნი იყვნენ მუდმივი მამხილებელი მდიდარი და მაძღარი ბურჟუაზიისა—ამბობს ამხ. ანტონოვი. ორატორი ათავებს სიტყვას მხურვალე მოწოდებით არ შეასუსტონ მუშაობა დამშეულთა დახმარების საქმეში.

**დახმარების გაძლიერება.**

ამხ. კალინინის მოხსენების შემდეგ, ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია. რომლის თანახმად საბჭოთა 9 ყრილობა ანდობს ც. ა. კ. მიიღოს სასწრაფო ზომები დამშეულთა დახმარების საქმეში სახალხო კომისარიატების და საბჭოთა ორგანოების მუშაობის გასაფართოებლად და გასაღრმავებლად; საგანგებოდ გამოყონ დამშეულ რაიონებისათვის 12 მილიონი ფუთი სურსათ-სანოვაგე და 25 მილ. ფუთი თესლეული საგაზაფხულო თესლისათვის.

**მადლობის გამოცხადება ნანსენს.**

საბოლოო სიტყვაში ამხ. კალინინი აღნიშნავს ნანსენის მუშაობას და წინადადებას იძლევა გამოეცხადოს მას ყრილობის სახელით ღრმა მადლობა. წინადადებას ტაშის ცემით ხვდებიან და იღებენ.

# კაპიტალიზმის სამეფოებში

### გერმანია

**ლიუდენდორფი.**

**ბორდო, 24 დეკემბერი** (რადიო. ბერლინში ჩამოვიდა კაპუტისტების საქმეთა მთავარი ბრალმდებელი და მოლაპარაკება ჰქონდა იუსტიციის მინისტრთან. ამ თათბირში გენ. ლიუდენდორფის დაჭერის და სამართალში მიცემის საკითხი იყო დასმული, რომლის მონაწილეობა, ფონ-იაგოვის საქმის გარჩევის დროს, კაპუტისტურ გადატრიალებაში დამტკიცებულ იყო.

### საფრანგეთი

**ოპოზიცია ბრიანის წინააღმდეგ.**

**ნაუენი, 24 დეკემბერი** (რადიო). საფრანგეთის დეპუტატთა პალატის ოპოზიციონური ჯგუფები ბრიანის საწინააღმდეგო სასტიკ გალაშქრებისთვის ემზადებიან. მზადდება ახალი შეკითხვა ჩინეთის სამრეწველო ბანკის კრახის შესახებ. პრესის აზრით ადვილად შესაძლებელია ამ საკითხზე, რომელშიაც დაინტერესებულნი არიან აღნიშნულ ბანკში ფულის წვრილი შემტანნი შეარყიოს ბრიანის მდგომარეობა.

### ეკონომიური კონფერენცია

**ნაუენი 22 დეკემბერი** (რადიო). პრეზიდენტმა გარდინგმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ფინანსიურ-ეკონომიური კონფერენციის მოწვევის პროექტი ვერ იქნება განხილული ვაშინგტონის კონფერენციის დასრულებამდი. ამერიკის ვაჭრობის და მრეწველობის მინისტრმა გუვერმა და სენატორმა მელონმა გამოსთქვეს აზრი, რომ დაუყონებლივ გახადონ პროექტი მსჯელობის საგნად. გაზ. „დეილ ტელეგრაფის“ ცნობით, გარდინგმა, ვაშინგტონის კონფერენციის დ ხურვის დროს, წინადადებით მიმართა ყველა ქვეყნების დელეგატებს განიხილონ ფინანსიურ ეკონომიური კონფერენციის პროექტი. მაგრამ კონფერენციის დასრულებამდი გარდინგი უარს ამბობს პროექტის გამოქვეყნებაზე განიარაღების შესახებ. მაგრამ მაინც ამერიკის პრესა არა თუ გამოსთქვამს აზრს ამ საკითხის შესახებ, არამედ წინააღმდეგია ყოველგვარი საერთაშორისო ფინანსიური შეთანხმებაზე, რადგანაც მისი აზრით, ეს გახდება საბაბად, რომ მოკავშირეებმა ანულიაცია მოუხდინონ მათზე გასესხებულ ამერიკის ფულებს. ამერიკამ უნდა გარკვევით განაცხადოს, რომ მას არ შეუძლია აღადგინოს თავისი ეკონომიური წონასწორობა მანამდი, სანამ ევროპა ვერ შესძლებს ვალების გადახდას. ამერიკის გაზეთების ცნობით, ამერიკის საზოგადოების უმნიშვნელო ნაწილი მოითხოვს აუცილებლად ევროპის განთავისუფლებას ვალებისაგან, რადიკალური პრესა აღნიშნავს, რომ ამერიკის საზოგადოების უმრავლესობას არ ესმის მსოფლიო პოლიტიკა და რომ ამერიკამ, თავისივე კეთილდღეობისათვის არ უნდა შეუწყოს ხელი იმ ქვეყნების განსაკუთრებით ევროპის მალარიბებას, რომლებთანაც მას დაჭერილი აქვს სავაჭრო კავშირი. ამერიკა უნდა ცდილობდეს, რომ შექმნას მომხმარებელთა ბაზარი ევროპაში, რადგანაც სხვა გზით ამერიკის მრეწველობა ვერ გაასაღებს თავის მრეწველობის წარმოებს. გარდა ამისა ევროპა გააძლიერებს თავის წარმოებას და ამერიკის საზარალოდ გამოიტანს ამერიკის ბაზრებზე თავის ფაბრიკატებს.

### გერმანია-ბელგიის დამოკიდებულება.

**ნაუენი, 22 დეკემბერი** (რადიო). დაიწყო მოლაპარაკება გერმანიასა და ბელგიას შორის ბელგიისათვის 6 ნახ. მილ. ოქროს მარკის დაბრუნების შესახებ, რომელსაც კონფისკაცია მოუხდინა გერმანიამ ბრიუსელში ზავის ჩამოგდების დროს. გერმანიის და ბელგიის პრესა იმედს გამოსთქვამს, რომ მოლაპარაკება დადებითად დასრულდება.

### ბალტიის ქვეყნების კონფერენცია.

**რიგა, 21 დეკემბერი.** (რადიო. ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ ლატვიის, ლიტვის, ესტონიის და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბენ რეველში ეკონომიური კონფერენციის შედეგების განსახილველად, რომელიც შესდგა რუსეთის წარმომადგენლების თანდასწრებით ბალტიის მხარის სახელმწიფოების ერთმანეთს შორის დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად. ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია მოწვეული იქნება თებერვლისათვის ამ სახელმწიფოების ინტერესების კოორდინაციის მოსაწესრიგებლად და რუსეთთან სავაჭრო კავშირის აღსადგენათ. რეველის კონფერენციამ შესაძლებლად დაინახა მოაწყოს რიგაში ეკონომიური ბიურო რუსეთის წარმომადგენლების მონაწილეობით.

# სანიტარული გადასახადი მთლიანად აკრეფილია

შეძლებულ კლასებზე დადებული სანიტარული გადასახადის—50 მილიარდის მოკრება შესრულებულად უნდა ჩაითვალოს. ქალაქებსა და მაზრებში მოკრეფილი გადასახადი უდრის 46,995,112,948 მან.

დაკლებული სამი მილიარდი შეადგენს შეწერილს გადასახადს ქ. ბათომის საზღვარ-გარეთელ ფირმებზე, რომლებიც შემდეგ გაანთავისუფლეს გადასახადისაგან.

**ქ თბილისში სანიტარული გადასახადი 25 მილიარდი მთლიანად აკრეფილია.**

ქალაქის და სოფლის ბურჟუაზია პირველ ხანებში შეეცადა თავიდან აეცილებია გადასახადი, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მუშა-გლეხობის ხელისუფლება არ ხუმრობს და რომ ის მზადაა დაარღვიოს ბურჟუაზიის ჯიბის შეუვალობა, და ამიტომ დაიწყო კლასიური ფულის ბევრის მოხდა მუშა-გლეხთა ხელის-უფლების სასარგებლოდ.

# ქრონიკა

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტი.** დღეს საშაბათს, 27 დეკემბერს სახ. უნივერსიტეტის 1-ლ აუდიტორიაში სტუდენტთა საბჭოს საარჩევნო კომისია იწვევს **უპარტიო სტუდენტთა კრებას.** დღის წესრიგშია ამხ. შ. დუდუჩავას მოხსენება: „საბჭოთა ხელისუფლება და სტუდენტობა“, კრება გაიხსნება სალამოს სრულ 7 საათზე.

◆ **შრომისა და ურმის გადასახადი.** შრომის განყოფილებათა ყრილობაზე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ შრომისა და ურმის ბეგრის ნაცვლათ შემოღებულ იქნას შრომისა და ურმის გადასახადი. დადგენილი იქნეს შემდეგი ნორმები: შრომის გადასახადისთვის—25 დღე წელიწადში, ხოლო ურმის გადასახადისთვის—20 დღე წელიწადში. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება განზრახულია 1922 წლის 1-ლი იანვრიდან. აქამდე შრომისა და ურმის ბეგრის შესრულება მცხოვრებლებს აწევთ კისერზე წელიწადში 48 დღის რაოდენობით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მეტი. შრომისა და ურმის გადასახადის შემოღებით და ამრიგათ შრომის გარკვეულ სავალდებულო ნორმების დაწესებით სახელმწიფო საჭიროებისათვის, ეს შრომა ყველასთვის თანაბრათ იქნება განაწილებული.

◆ **სტატისტიკოსების ყრილობა.** 22 დეკემბერს გაიხსნა პირველი კონფერენცია პასუხისმგებელ მუშაკებისა სტატისტიკის დარგში საერთო რესპუბლიკის მასშტაბით. კონფერენციაზე მოვიდა 25 მდე წარმომადგენელი სხვა და სხვა უწყებისა და ხელმძღვანელი ქალაქის და სამაზრო სტატისტიკურ ბიუროებისა. ყრილობის პრეზიდიუმში ამოირჩიეს თავმჯდომარეთ ა. მ. გონჩაროვი, თავმჯდომარის ამხ. ა. გ. რუხაძე და ა. მ გაგუა გამოიმუშავეს რეგლამენტი და დღიური წესრიგი. 22 დეკემბერს მოისმინეს ამხ. გაგუას მოხსენება ცენტრისა და ადგილების ურთიერთობაზე. კონფერენცია გაგრძელდება 5—6 დღეს. სხდომები იმართება დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე და სალამოს 5-დან 8 საათამდე ყოველ დღე.

◆ **თბილის მაზრაში.** აღმასკომის პრეზიდიუმმა, მოისმინა რა ამხ. გეგეჭკორის მოხსენება ქალაქის რევკომის მოღვაწეობის შესახებ, დაადგინა: მთელი მოღვაწეობა თბილისის ქალაქის რევკომის სავსებით სწორათ იქნას აღიარებული.

— თანახმათ ამხ. ბაქრაძის შუამდგომლობის აღმასკომი პრეზიდიუმმა დაადგინა ეთხოვოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს 100 მილიონიან კრედიტის გახსნა ყოფილ ნადიროვის ელექტრონის სადგურის შესაკეთებლად.

# თეატრი და ხელოვნება

**რუსთაველის თეატრი**

დიდი მომზადების შემდეგ ს მშაბათს 27-ს დეკემბერს დადგმულ იქმნება აკაკი წერეთლის „თამარ ცბიერი“. პიესა დიდი ხანია არ დადგმულა ქართულ სცენაზე, მით უმეტეს იმ მხატვრულ მომზადებით, როგორიც ეხლა. ახალი დეკორაციები და ტანსაცმელთა ესკიზები დახატულია მხატვარ სიდამონ ერისთავის მიერ. დამზადებულია აგრეთვე ახალი ბუტაფურია და მოკაზმულება. პიესას სდგამს რეჟისორი აკაკი ფალავა. აკადემიურ დასის საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

22 დეკემბერს მოხდა კომუნ. მეურნეობის კლუბის გამგეობის, მუშათა ცენტრ. კლუბის და პროფ კავშირთა საბჭოს კულტურული განყოფილების წარმომადგენელთა სხდომა, რომელმაც შეიმუშავა მომავალ მუშაობის გეგმა კომუნ. მეურნეობის კლუბში იმუშავებენ მუშათა ცენტრ. კლუბის ძალები. განზრახულია გამართონ მთელი რიგი სალამოებისა, ლექციებისა და კონცერტებისა.

ტრამვაის მოსამსახურეებმა დაადგინეს წინადადება მიეცეს მოსამსახურეებს ნებაყოფლობით გადასდონ თითოეშ 10,000 მან. კლუბის სასარგებლოთ და სთხოვონ პროფ. კავშირთა საბჭოს ავანსათ მისცეს 30,000 მ. კლუბის რემონტისა სხვა და სხვა საჭიროებისთვის.

ყველა სარაიონო მუშათა კლუბებში სწარმოებს გავრცელებული საერთო მუშაობა მომავალ უქმეებისათვის პროგრამის შესამუშავებლათ.

**ცენტრალურ მუშათა კლუბში.**

სამშაბათს 27 დეკემბერს ამხ. სპასკის მოხსენება და მუსიკა.

ოთხშაბათს 28 დეკემბერს—კინემატოგრაფი კლუბის წევრებისათვის და მოხსენება.

ხუთშაბათ 29 დეკემბერს—მუსიკა.

პარასკევს 30 დეკემბერს—ზეპირი გაზეთი, კინემატოგრაფი და მუსიკა. თეატრში სპექტაკლი „სავა“ წითელ არმიელებისათვის წითელ არმიელთა ქონების კვირასთან დავაკავშირებით.

შაბათს 31 დეკემბერს—ახალ წლის შეხვედრა, რაბისის და ტრუპის კონცერტი, კაბარე და ცეკვა.

კვირას დილით საბავშვო სპექტაკლი.

ცენტ. მუშათა კლუბს და რაიონულ კლუბებს შორის მყარდება მჭიდრო კავშირი. რაიონული კლუბები იმუშავებენ ცენტ მუშათა კლუბის უშუალო ხელმძღვანელობით. ამ ჟამად დამყარებულია კონტაქტი ცენტ. მუშ. კლუბის მე-2 რაიკომსა (ყოფილი ტივოლი) და ნაძალადევის კლუბის შორის, სადაც იდგმება სპექტაკლები ცენტ. მუშ. კლუბის მიერ. ეწყობა გამგეობების შეერთებული სხდომები და სხვ. შემდეგში ასეთი კონტაქტი მოეწყობა შეძლებისდაგვარათ სხვა რაიონულ კლუბებთანაც

# პატარა ფელეტონი

### მენშევიკური ჰიმნი.

არსებულ წესთან
ხელშეგუებით,
არ აჩქარებით,
შორს შემორებით;
ხან შეჩერებით,
ხან გაჩერებით;
შეძლების გვარათ,

სიფრთხილით მარათ;
ნელის ნაბიჯით,
წყნარი და დინჯით:
ერთის წინ წადგმით,
ორის დახედვით,—
მუშებო, გასწით
წინ, წინ გაჰყევით!

ს. თ—ია.

# ს. პ. პ. ს. აღმ. კომ. გაფართოებული პლენუმი

## ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

(ამხ. ვირაპის მოხსენება)

პროფკავშირთა პირველმა ყრილობამ აღნიშნა, ზოგიერთი კონკრეტიული ზომები ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გატარების სფეროში. ეს ზომები ამდენ ხანს არ განხორციელებულა, რაც აიხსნება იმ ვეებერთელა მუშაობით, რომელიც მოუხდა შეესრულებინა ს. პ. კ. ს. და ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმებს.

ეკონომიურ პოლიტიკის შეცვლა ნაკარნახევია იმ ობიექტიურ პირობებით, რომლებიც გამოისახა საერთოდ მეურნეობის ნგრევაში, წვრილბურჟუაზიულ ელემენტების სიჭარბეში და საბრუნავ კაპიტალის უქონლობაში.

**სასოფლო მეურნეობა.**

უფრო მნიშვნელოვან საკითხს ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებულს, წარმოადგენს სასოფლო მეურნეობის საკითხი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. სასოფლო მეურნეობაში საბჭოთა რუსეთმა გადადგა ნაბიჯი წინ, შეცვალა სასურსათო გაბეგვრა სასურსათო გადასახადით, ამ შეცვლამ უსათუოდ კარგი გავლენა უნდა მოახდინოს გლეხის ფსიხოლოგიაზე რუსეთში, და სასურსათო გადასახადის გასატარებელი მუშაობა საბჭოთა რუსეთში განხორციელდება შეუდარებლად უფრო ადვილად. აქ, საქართველოში, სასურსათო გაბეგვრა არ ყოფილა და თუმცა სასურსათო გადასახადი ეკონომიურად არ არის მძიმე, მაგრამ ფსიხოლოგიურად გლეხისათვის იგი სჩანს მძიმე ტვირთად.

**მრეწველობა.**

ჩვენი არა ნაკლებ მნიშვნელობის მიზანს წარმოადგენს მჭამელთა რიცხვის შემცირება, რომელიც დარჩნენ სახელმწიფოებრივ მომარაგებაზე. ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმ დებულებით, რომ თუ მუშა იქნებოდა უზრუნველყოფილი ჯეროვნად, იგი იმუშავებდა, როგორც წესია. გადავცემთ რა სასარგებლო წარმოებებს სახელმწიფოს და უსარგებლოებს კი გავცემთ იჯარით. ამით ჩვენ შევქნით ბაზას, რომელზედაც ავაშენებთ ჩვენს მეურნეობას. არა-ხელსაყრელი წარმოებათა გაცემის მუშაობა თუ ჩატარდა სათანადო საქართველოს მასშტაბით, უმთავრესად თბილისის მასშტაბით, ჩვენი მუშაობა შეგვიძლიან ჩავთვალოთ სრულიად დამაკმაყოფილებლად. გამოვყავით რა მსხვილი სამეურნეო პროვინციები და შევაერთეთ იგინი თფილისთან, ჩვენ უნდა მივაქციოთ ძლიერ სერიოზული ყურადღება მათ მიხან-შეწონილ გამოყენებას.

**საფინანსო პოლიტიკა.**

ჩვენი ეკონომიურ პოლიტიკის მეორე მხარე არის საფინანსო პოლიტიკა. წინად არსებული ფინანსიურ პოლიტიკის სისტემა ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. სანამ არ დამყარდება მანეთის მტკიცე კურსი—უაზროა გეგმიან მეურნეობის შენება. ამ სფეროში საჭიროა განუსაზღვრელ ბიუჯეტიდან მტკიცეზე გადასვლა. ჩვენ ძველ ეკონომიურ პოლიტიკის ძველი ფინანსიური პოლიტიკა—ფულის ნიშნების დაუსრულებელი ბეჭდვა იყო ბუნებრივი, რამდენადაც ჩვენ ვანახლებთ საქონლის ბაზარს—ჩვენ გვიხდება უკან დაბრუნება, მოგვიხდება შევაჩეროთ ფულის ბეჭდვა. ჩვენი პოლიტიკა წავა მით უფრო ნორმალურად, რამდენადაც ჩქარა შევძლებთ ქაღალდის ფულის მოკრეფას გადასახადების და სხვა სათანადო ზომების საშუალებით, ამ მხრივ საბჭოთა რუსეთმა, სადაც ყველაფერი მიმართულია მტკიცე მანეთის დამყარებისაკენ, გვაძლევს ჩვენ საუკეთესო მაგალითს.

**პროფკავშირები და ახალი ეკონომიური პოლიტიკა.**

ჩვენი პროფესიონალურ ორგანიზაციების წინაშე დგება მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც საჭიროა გადაწყდეს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მიხედვით. ყველაზე ადრე ისმება საკითხი, იცვლება თუ არა პროფკავშირების მიზნები ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გამო. ზოგიერთი ამტკიცებენ, რომ პროფ-კავშირები უნდა დასდგნენ რევოლიუციამდე ყოფილ კავშირების პლატფორმაზე. მუშურ-გლეხურ რესპუბლიკაში გაეროვნებულ წარმოებათა პატრონს წარმოადგენს ს. მ. უ. ს. მუშურ-გლეხურ ხელისუფლების ორგანო და, რამდენადაც ეს ასეა, წარმოებითი მიზნები მუშათა ორგანიზაციებისა აბსოლიუტურად არ იცვლება. იბადება საკითხი: როგორ უნდა მიუდგნენ პროფკავშირები ყოველდღიურად მათი წინ წამოჭრილ ამოცანების გადაწყვეტას. როგორ პირობებში უნდა იყოს ჩვენი წარმოებანი იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ვიმყოფებით კაპიტალისტთა რკალში. ამაზე შეიძლება მხოლოდ ერთი პასუხი: ის მერყეობა, რომელიც ახალ ეკონომიურ პოლიტიკას მიხედვით შესაძლებელია ჩვენს მეურნეობაში, აყენებს ჩვენს წინ მიზანს თუ სულ არა, ნაწილობრივ მაინც დაეუფლონ მუშები ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას. რესპუბლიკაში არ უნდა იყოს არც ერთი სამეურნეო ორგანო, რომელშიაც არ შევა მუშების წარმომადგენელი. თუ ჩვენ არ მივიღებთ მხედველობაში ამ მდგომარეობას და ჩვენი სამეურნეო ორგანოები ჩაუვარდებათ ხელში მერყევ ინტელიგენტებს (როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბაქოში, ჩვენ ჩავაყენებთ საშიშ მდგომარეობაში მთელ ჩვენ მეურნეობას. ამ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აქ თბილისში, სადაც ჩვენ, მეურნე მუშაკთა ნაკლებობის გამო იძულებული ვართ დავტოვოთ სამეურნეო ორგანოების სათავეში ყოფილი მწარმოებლები. უკანასკნელ ხანებში მას შემდეგ, რაც მთელი რიგი მრეწველობისა გადავიდა სამეურნეო კომერციულ ანგარიშზე.

ზომიერ წარმოებებში დაეცა შრომის წარმოება. ამ ფაქტის გამოკვლევამ დაგვანახა, რომ ეს ხერხდება ყოფილ პატრონების გაიძვერობით, რომლებიც სცდილობენ მიიღონ იჯარით თავის ყოფილი წარმოება. თუ მუშაობის ამ მხარეს არ მიექცა სათანადო ყურადღება, მაშინ ყოველი ჩვენი წარჩინება ჩვენი მეურნეობის სფეროში არარაობათ იქცევა.

**სამეურნეო გეგმა!**

ერთ ჩვენ უმნიშვნელოვანეს მიზანს შეადგენს სამეურნეო გეგმის გამომუშავება. თუ წინათ სამეურნეო გეგმას ჩვენ ვიხილავდით მისი შესრულების შესაძლებლობის თვალსაზრი-

სით,—ეხლა ჩვენ ვცდილობთ ხელოვნურად შევამკოთ იგი.

**კონტროლი.**

ჩვენთან ახალ ეკონომიურ პოლიტიკის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს კონტროლის სამაგლითოდ დაყენებას, ვინაიდგან სახელმწიფოებრივ მომარაგებაზე დარჩენილ მუშების ჩაცმასა და დახურვას ჩვენ შევსძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წესიერად თავის დროზე შევასრულებთ ყველა ჩვენ წარმოებითი დასახულ მიზნებს.

**მეურნეობის საორგანიზაციო ფორმები.**

ამავე დროს დგება საკითხი ჩვენი მეურნეობის საორგანიზაციო ფორმების შეცვლის შესახებ. ჩვენ დაგვჭირდება ჩვენი სამეურნეო ორგანოებში ღრმა გადატეხის მოხდენა. აქ დარჯათ უნდა იდგენ პროფესიონალური ორგანიზაციები, რომ შეამჩნიონ ცოტა ოდენი ცვლილებაც კი ამ აზრით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენ მოგვიხდება ავიშოროთ ზოგიერთი ავათმყოფური მხარე კავშირის წარმოებითი მუშაობისა. წარსულში კავშირები არ კმაყოფილდებოდენ მარტო სამეურნეო ორგანოების საერთო ხელმძღვანელობით და ერეოდენ თითქმის ყველა მის მუშაობაში. ეხლა ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია. ამ შემთხვევაში ადმინისტრაცია უნდა ემორჩილებოდეს განსაზღვრულ ორგანოებს და პირებს, კავშირებმა კი უნდა უხელმძღვანელონ საერთო მუშაობას და მათი მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს სამეურნეო ორგანოების ყოველ დღიურ ცხოვრებაში ჩარევაში კი არა, არამედ საერთო მიზნების ერთად გაწყვეტაში და საწარმოო გეგმების და პროგრამის გამომუშავებაში. ეს სათანადოდაა დამტკიცებული როგორც რუსეთის აგრეთვე ტყიბულის მაღაროების ცდიდან, სადაც წარმოება გაძლიერდა ადმინისტრაციისა და კავშირის შორის ნორმალურ დამოკიდებულების დამყარების შემდეგ.

**მუშა-გლეხთა ინსპექცია.**

ჩვენი სამეურნეო ცხოვრებაში არის ერთი მომენტი, რომლის უყურადღებოთ დატოვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება: ეს არის მონაწილეობა მუშა-გლეხთა ინსპექციის მოქმედებაში, მას ეძახიან ცენტრომუხრუჭი—და ვერც ვიტყვით, რომ ეს სახელი უსამართლოა. ეგრეთ-წოდებული წინასწარი კონტროლი ძლიერ აფერხებს სამეურნეო ორგანოების მუშაობას. ეხლანდელ პირობებში ასეთი მდგომარეობა სრულიათ შეუწყნარებელია. რუსეთში უკვე არის დეკრეტი მუშა გლეხთა ინსპექციის წინასწარ კონტროლის მოხსნის შესახებ—ეს უმთავრესი პირობაა ჩვენი სამეურნეო ცხოვრების განვითარებისა.

**მუშების მომარაგება.**

მუშათა მომარაგების საკითხები მჭიდროთ არის დაკავშირებული ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან. უწინ მუშა ღებულობდა პროფესიონალურ კავშირის საბჭოსაგან ტანსაცმელს, ქალაქის სასურსათო კომიტეტისგან—სურსათს და სახალხო მეურნეობის საბჭოსგან—ქაღალდის ფულს და სრულიათ გადაეჩვია ჩათვალოს ყველა ეს სამუშაო ფასათ. ეს ფსიხოლოგია უნდა შეიცვალოს, ჩვენთვის საჭიროა, რომ მუშა გრძნობდეს, რომ ყველა ამას ღებულობს ქარხანაში გამოცხადებებისთვის კი არა, არამედ მუშაობისთვის, აქამდის პრემია წარმოადგენდა მხოლოთ დამატებას მცირე ჯამაგირისას, ეხლა კი, რამდენათაც ეს მცირე ხელფასი ავიყვანეთ საცხოვრებელ მინიმუმამდე პრემია უნდა წარმოადგენდეს წამქეზებელ სისტემას.

ამ გვარათ პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობა სრულებით არ მცირდება, მათ წინ დგანან უდიდესი ამოცანები ქვეყნის რესურსების გამოკვლევასა, მაგარის ფონდის დამყარებისა, ხელმძღვანელობა სამეურნეო ორგანოებისა და აღნუსხვა იმისი რა და რა შეუძლიათ მისცენ მუშებს.

პროფკავშირებზე რჩება საქმე საზოგადო მომარაგებისა, ხოლო ჩვენი სატარიფო დესპოტიზმი, რომელიც აქამდის არსებობდა, სრულიათ შეუწყნარებელია.

**საქართველოს კ. კ. ს. პრეზიდიუმის მუშაობა.**

ეს არის ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ის ძირითადი მომენტები, რომლებიც უნდა გავატაროთ ცხოვრებაში, მე მსურს აღვნიშნო, რა გაკეთდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მხრივ.

პროფკავშირის საბჭოში ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს სამეურნეო ორგანოებს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წილათ ხვდა მეტათ მცირე მემკვიდრეობა, საჭირო იყო ამ მდგომარეობიდან გამოსვლა, საჭირო იყო შეგვექმნა რამე და ჩვენც დავისახეთ შემდეგი გეგმა: ჩვენ ვფიქრობდით, რაც მეტი ტვირთი ჩამოეხსნება სახელმწიფოს და რაც უფრო მეტს მისცემს სახელმწიფოს ეს ზურგიდან ჩამოხსნილი ელემენტი, მით უფრო მეტს მოიგებს სახელმწიფო. ჩვენ დავიწყეთ თამბაქოს მრეწველობიდან, რომელიც 15 ოქტომბრიდან გადავიყვანეთ ახალ სამეურნეო საფუძველზე. ამ გვარათ ამ მრეწველობის მომარაგების ყველა ხარჯები ჩვენ ჩამოვაშორეთ სახელმწიფოს და, გარდა ამისა, ამ მრეწველობის წარმოებებს წინადადება მიეცა ყოველ სამ თვეში ერთხელ მოგება მისცეს სახელმწიფოს, მაგრამ ამის შესრულება არც ისე ადვილია. საორგანიზაციო აღმშენებლობის მხრივ ყველა წარმოებებს ეძლევა სამეურნეო ავტონომია; მათ ეძლევათ საშუალება მოაწყონ თავიანთი აპარატი მომენტისა და ადგილის პირობათა მიხედვით. ჩვენ მხოლოდ ვაძლევთ მათ საერთო საზოგადო საქმეს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ყველა წარმოება შესდგებოდეს სამი ძირითადი განყოფილებისა. 1) აპარატი საზოგადო ხელმძღვანელობისა, 2 აპარატი ნაწარმოების შექმნის პროგრამისა და 3 აპარატი, მომარაგებელი ნედლი დასამუშავებელი მასალისა და სხვ.

ფრიად წინდახედულათ და დაკვირებით მოექცნენ კავშირები წარმოების კონცენტრაციის განხორციელებას ცხოვრებაში და ბევრი რამ შესძლეს ამ მხრივ.

**შტატების შემცირება.**

ერთ ერთ მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს შტატების შემცირება. შტატების შემცირებასთან დაკავშირებულია საკითხი მუშების სოციალურ დაზღვევისა. საბედნიეროთ შესამცირებელი ძლიერ ცოტაა,—უმთავრესად ის მუშები, რომლებიც წარმოადგენენ უფრო ხელოსნებს, მაგალითად ხარაზები ან შინამრეწველები.

# პარტიული ცხოვრება

## სიღნაღის პირველი ლეგალური სამაზრო პარტკონფერენცია.

მოკლე ანგარიში)

ქ. სიღნაღში 18 დეკ. „მე-3 კომინტერნის“ კლუბში გაიხსნა პირველი სიღნაღის მაზრის ლეგალური პარტკონფერენცია.

დაესწრო გადამწყვეტი ხმით 14 დელეგატი, სათათბირო ხმით კი 8 პრეზიდიუმში არჩეულ იქმნენ ამხ. დ. აფციაური, კ. მართაშვილი და ვ. თათეიშვილი. საპატიო თავმჯდომარეებათ ერთხმათ ამხ ლენინი, ტროცკი, მ. ცხაკაია და ფ. მახარაძე. კონფერენციის თავმჯდომარე ამხ. დ აფციაური კონფერენციას გახსნილათ აცხადებს (ინტერნაციონალი მისალმებამას სამაზრო პარტკომის სახელით და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას. შემდეგ მისალმების ვრცელ სიტყვას ამბობს ცეკას წარმომადგენელი ამხ. თ. კალანდაძე, რომელიც აღნიშნავს ამ ჟამად პარტიულ აღმშენებლობის და არჩევნებითი სისტემაზე გადასვლის მნიშვნელობას.

კონფერენცია ოვაციით შეხვდა პრეზიდიუმის მიერ წარდგენილ მისასალმებელ დეპეშებს: საქართვ ვ. პ. ცეკას, რუსეთის კ. პ ცეკას, მესამე კომინტ. და ამხ. ლენინს.

ეგზავნება აგრეთვე მხურვალე სალამის გამოთქმით, დეპეშა ქ. თბილისის პირველ დეპუტატთა საბჭოს.

ამხ. აფციაური უძღვნის მოკლე სიტყვას სამოქალაქო ომში, კომუნიზმისთვის ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას. კონფერენცია ფეხზე ადგომით სცემს პატივს კონტრრევოლიუციის მსხვერპლთა მოგონებას (მღერიან სამგლოვიარო ჰიმნს).

ვრცელ მოხსენებას მიმდინარე მომენტზე, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, საბჭოთა აღმშენებლობის მორიგ ამოცანებზე და ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ აკეთებს ცეკას წარმომადგენელი ამხ. თ. კალანდაძე. კონფერენცია ეგებება ცენტრის მიერ აღებულ ახალ ეკონომიურ პოლიტიკისას და ერთხმათ ღებულობს რეზოლიუციას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ.

კონფერენცია მომხსენებელს, რომლის სიტყვას სამი საათის განმავლობაში ისმენდა დიდის ყურადღებით, აჯილდოებს მხურვალე ტაშით.

პირველი დღე კონფერენციის მუშაობისა დამთავრდა ამით. მეორე დღის 12 საათისთვის იქმნა მოწვეული ქ. სიღნაღში საჯარო მიტინგი. კონფერენცია გაიხსნა პარტკომის დარბაზში დილით, სამაზრო პარტკომის მოხსენებით თავის მუშაობაზე.

მოხსენება იქმნა გაყოფილი ორ ნაწილათ: პირველ ნაწილს შეადგენდა ყოფილ მდივნის იორამაშვილის წერილობითი მოხსენება დღიდან გადატრიალებისა 7 ნოემბრამდე, ე. ი. 8 თვის განმავლობაში, რითაც კონფერენცია დარჩა უკმაყოფილო, ვინაიდან იმ დროის პარტკომს რვა თვის განმავლობაში ძლიერ სუსტი მუშაობა უწარმოებია.

მეორე ნაწილს შეადგენდა მოხსენება ახალი პარტკომის, ე. ი. ამხ. აფციაურის პასუხისმგებლობის დროს, 7 ნოემბრიდან 18 დეკემბრამდე.

კონფერენციამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „ძველი კომიტეტის ამხ იორამაშვილის პასუხისმგებელი მდივნობის დროს ჩაითვალოს ძლიერ სუსტათ, ახალი კომიტეტისა კი მისი მოქმედების მოკლე ხნის და მიხედვით სრულიად დამაკმაყოფილებლად“.

შემდეგ მოსმენილ იქმნა მოხსენება რევკომის და მის განყოფილებების მუშაობის შესახებ. ვინაიდან შემოვიდა ცნობა, რომ მოედანზე ხალხი უკვე შეგროვდა, კონფერენციის ყველა წევრები და დამსწრე ამხანაგები მწყობრათ, დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით გაემართნენ თავისუფლების მოედნისაკენ, რომელსაც ამშვენებს 7 ნოემბერს დადგმული საუცხოვოთ მორთული ტრიბუნა, ამხ. ლენინის და შაუმიანის ბიუსტებით გვერდებზე. მიტინგს დაესწრო 4000 კაცამდე. ამხ. დ. აფციაური მიტინგს გახსნილათ აცხადებს და სიტყვას აძლევს ამხ. მართაშვილს, რომელიც ესალმება კრებას სამაზრო პარტკონფერენციის სახელით. შემდეგ სიტყვას იღებს ამხ. თ. კალანდაძე, რომლის ტრიბუნაზე გამოსვლას ხალხი შეხვდა მხურვალე ტაშით. ამხ. თ. კალანდაძე აკეთებს მოხსენებას მიმდინარე მომენტზე და ფართოთ ეხება ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის საკითხს.

მიუხედავათ იმისა, რომ მოხსენებამ გასტანა ორ საათნახევარი, ხალხი (უმთავრესათ სოფლის გლეხობა) გულმოდგინეთ უსმენდა ორატორს.

მოხსენების დამთავრების შემდეგ ამხ. კალანდაძემ მიმართა მიტინგს თხოვნით, რომ გამოსულიყვნენ მოწინააღმდეგენი, მაგრამ ასეთები არ გამოჩნდენ.

მიტინგს თავმჯდომარემ წარუდგინა შემუსული რეზოლიუცია ფედერაციის შესახებ. მიტინგმა ერთხმარ მიიღო რეზოლიუცია, ერთმა შეიკავა თავი.

საღამოს ხუთ საათზე კონფერენციამ განაგრძო შეუწყვეტელი მუშაობა. იქმნა მოსმენილი ფრიად საინტერესო და საღლეისო მოხსენება ამხ. დ. აფციაურის ორგანიზაციული აღმშენებლობის შესახებ. მომხსენებელმა განუმარტა კრებას პარტიის დღევანდელი ამოცანები და მისცა სათანადო კონკრეტიული დირექტივები კომიაჩეიკებს; განუმარტა სამაზრო პარტორგანიზაციის მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად პარტიული აღმშენებლობის მომავალი გეგმა.

კონფერენცია, თუმცა უკვე იყო ღამის მეორე საათი, ფხიზლათ ისმენდა ამხ. აფციაურის მოხსენებას, ერთხმათ მიიღო მის მიერ წარმოდგენილი წერილობითი სქემა პარტორგანოებისა და გეგმა მომავალი ორგანიზაციული აღმშენებლობისა.

დასასრულ მოხდა არჩევნები. სამაზრო პარტკომში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები ერთხმად: 1. ვარამაშვილი მოსე; 2. მართაშვილი კოტე; 3, ბაბალაშვილი ვანო; 4. ჩუკურიშვილი იოსება ერთხმად; 5. მირინაშვილი გიორგი 12 ხმით; 6. თათეიშვილი ვასო 11 ხმით; 7. თარხანოვი სერგო 8 ხმით. კანდიდატებათ: აივაზოვი ს., სივენკო. სარევიზიო კომისია: 1. მირინაშვილი ალექსი; 2. მესხიაშვილი გიორგი; 3. ანთაძე ანდრო. საქართველოს კომპარტიის პირველ ყრილობა'ე არჩეულ იქმნენ დელეგატებათ: ამხ. თ. კალანდაძე, მ. ვარამაშვილი, დ. აფციაური, კ. მართაშვილი, ვ. თათეიშვილი.

ამიერ კავკასიის პარტიულ ყრილობაზე აირჩიეს ამხ. თ. კალანდაძე, დ. აფციაური, ვ. ვარამაშვილი. არჩევნების შემდეგ კრებამ მიიღო საზეიმო ხასიათი. ყველა მიესალმებოდა ახლად არჩეულ პარტკომს და უსურვებდა მას ნაყოფიერ მუშაობას. სუფევდა დელეგატთა სრული ერთსულოვნება. კონფერენცია დაიხურა დილის 7 ნახ საათზე. ამრიგათ მან განუწყვეტლივ იმუშავა საღამოს 5 საათიდან დილის 7 ნახ. საათამდე და მით ჩაუყარა ღრმა საძირკველი სიღნაღის კომუნისტურ ორგანიზაციას, რომელიც ამიერიდან უძლეველი იქნება როგორც იდეიურათ, ისე აღმშენებლობის საქმეში.

**დამ'წრე.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დეკრეტი № 84.

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონურ კომიტეტისა.**

**საფასეულების ყიდვა-გაყიდვისა და შენახვის თავისუფალი ოპერაციების წარმოების აკრძალვის შესახებ.**

1. ძვირფასი ლითონის (ოქრო, ვერცხლი და პლატინა) ზოდებად თავისუფალი ყიდვა გაყიდვისა და შენახვის უფლება ეძლევა მხოლოდ საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

2 ყოველი ორგანიზაციისა, დაწესებულებისა გამოუნაკლისად, (გარდა ფინანსთა სახ. კომისარიატისა) და კერძო პირისათვის აკრძალულია პირველ მუხლში აღნიშნული ოპერაციების წარმოება.

3. აკრძალულია ყიდვა-გაყიდვა სასპეკულიაციო მიზნით ძვირფასი მეტალის ნაკეთობისა, ბრილიანტისა და სხვა ძვირფასი ქვებისა და აგრეთვე სხვა ძვირფასეულობისა.

შენიშვნა: ნება ეძლევა იქონიოს გასაკეთებლად და არა გასასყიდად:

ა) ოქროს ნაკეთობის ხელოსანს, უკეთუ მას სახელოსნო აქვს—არა უმეტეს ორმოცდათი მისხალი უნაკეთო ოქროსი;

ბ) ვერცხლის ნაკეთობის ხელოსანს, უკეთუ მას სახელოსნო აქვს, არა უმეტეს ორას მისხალ უნაკეთო ვერცხლისა.

გ) საიუველირო მაღაზიებს, რომელთაც სპეციალური სახელოსნოები არ მოეპოვებათ, უფლება არა აქვთ იყიდონ ოქრო და ვერცხლი ზოდებად, ან ნატეხად.

დ შეძენილი ოქრო ვერცხლის აღნუსხვისათვის, იუველირი და ვერცხლის ხელოსანი ვალდებულია იქონიოს ზონარ გაყრილი დავთარი; ოქრო-ვერცხლის დახარჯვა სწარმოებს მხოლოდ სასინჯი პალატის ნიშანდასმით, რისთვისაც საჭიროა უკანასკნელისაგან კვიტანციის მიღება.

4. საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებიდან ძვირფასი მეტალის ნაკეთობისა, ბრილიანტისა და სხვა ძვირფასი ქვებისა და აგრეთვე ძვირფასეულობის გატანა ნებადართულია, მხოლოდ ამ საგნებისათვის დაწესებული ნორმით.

5. აკრძალულია შენახვა, ყიდვა, გაყიდვა და საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებიდან გატანა ყოველგვარი ფასიანი (პროც.) ქაღალდისა, როგორიც არის მაგალითად: ყოფილი რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სესხის, კერძო აქციონური კომპანიისა და საზოგადოებისა და აგრეთვე საკრედიტო და დამზღვევ საზოგადოებათა აქციები.

6. ყოველი პირი და დაწესებულება ვალდებულია ექვსი თვის ვადის განმავლობაში, ამა დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან, ჩააბაროს ფინანსთა სახალხო კომისარიატს მე-5 მუხლში დასახელებული ფასიანი პროცენტიანი ქაღალდები.

7. ყოველი პირი, რომელიც შემჩნეული იქნება ამა დეკრეტის მე 2, 3, 4, 5 და მე 6 მუხლის დარღვევაში, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით და ზემოაღნიშნულ მუხლებში [illegible] საყიდი, გასაყიდი ან შესანახი საგნები ჩამოერთმევა კონფისკაციის წესით.

8. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. სოც. საბჭ რესპუბლიკის რევოლიუც. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **სვანიძე.**

რევ. კომ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 20
თბილ. სასახლე.

### № 84 დეკრეტის დანართი.

### ნორმა

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან ძვირფასი ლითონის ნაკეთობისა, ბრილიანტისა, ძვირფასი ქვებისა და სხ. ძვირფასეულობის გატანისათვის.**

1. ოქროს და პლატინის ნაკეთობა საერთო წონით არა უმეტეს თექვსმეტი მისხლისა თვითეულ ადამიანზე, ვერცხლის ნაკეთობა არა უმეტეს ორი გირვანქისა თვითეულ ადამიანზე ან ხუთი გირვანქისა ოჯახზე.

2. ძვირფასი ქვების ნაკეთობა, აგრეთვე მარგალიტი საერთო წონით არა უმეტეს ორი კარატისა—მარტოხელსა და ოჯახის პატრონისათვის და თითო კარატისა ოჯახის დანარჩენ წევრებისათვის.

**შენიშვნა:** თვითეული მოზრდილი პირისათვის ნებადართულია ოქროს და ვერცხლის საათისა, ნიშნობის ბეჭდისა, ვერცხლის პორტსიგარისა და ქალის ვერცხლის საფულეს გატანა ყოველი ამ ნივთთაგანის თითო ცალისა. ამასთანავე ამ ნივთების წონა არ შედის წინა მუხლებით დაწესებულ ნორმაში.

საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახ. კომისარი **სვანიძე.**

რევოლიუციონურ კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 20
თბ. სასახლე.

### ბრძანება № 2.

**თბ. ქალაქის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა.**

22 დეკემ. 1921 წ. ქ. თბილისი.

დღიდან ამ ბრძანების გამოქვეყნებისა აღიკრძალოს, როგორც საბარგო ავტომობილებით, ისე დროგებით და ურმებით მიმოსვლა შემდეგ ქუჩებზე: 1) სასახლის, 2) რუსთაველის, 3 პლეხანოვის და ჩერქეზოვის. ამ ბრძანების სწორუცვლელი შესრულება ევალება თბილისის ქალაქის მუშათა და გლეხთა მილიციის უფროსს.

თბილისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის წევრი **ა. გეგეჭკორი.**

კომუნ. განყ. გამგე **ი. წივწივაძე.**

საქმეთა მმართველი **დ. მდივანი.**

### ბრძანება № 3.

**თბილისის ქალ ქის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა.**

22 დეკ. 1921 წ. ქ თბილისი.

ამით ვაცხადებ ქალაქ თბილისის მოქ. საყურადღებოთ, რომ დღიდან ამ ბრძანების გამოქვეყნებისა სასტიკათ აღკრძალულია ქალაქის ქუჩებზე ავტომობილებით ჩქარი მიმოსვლა. ამ ბრძანების სწორ-უცვლელად შესრულება ევალება ქალაქის მუშათა და გლეხთა მილიციის უფროს, რომელსაც უფლება ეძლევა ამ ბრძანების დამრღვევთა დატუსაღებისა და მათი კუთვნილებისამებრ—ქალაქის კომენდანტის, ან ჯარების გარნიზონის განკარგულებაში გადაგზავნისა.

თბ. ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის წევრი **გეგეჭკორი.**

კომუნ. განყ. გამგე **ი. წივწივაძე**

საქმეთა მმართველი **დ. მდივანი.**

---

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი »ნაძალადევი« ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 »მუშათა კლუბის» შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

**სარედაქციო კოლეგია.**

# განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

ცენტრალურ-პარტიულ სკოლის კურსელები აუწყებენ ყველა ამხანაგებს, რომ ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ ამა თვის 23 გარდაიცვალა

## ამხ. დათიკო (დავით კონსტანტინეს ძე
## ფანცხავა

გამოსვენება მოხდება დღეს, 27 დეკემბერს, დღის 12 საათზე, არამიანცის საავადმყოფოდან თბილისის სადგურზე.

---

26 დეკემბრიდან გამოვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალ. კომიტეტის

**ახალი სასოფლო გაზეთი**

## „მიწის მუშა“

**თანამშრომლებათ მიწვეული არიან შემდეგი ამხანაგები:**

ფ. მახარაძე—მიწ.-მოქმ. სახ. კომისარი, მ. ორახელაშვილი—ს. კ. პარ ც. კ. მდივანი, მ. ტოროშელიძე—საქ. სახ. მეურ. უმ. საბჭ თავმჯდომარე, ს. ქავთარაძე—იუსტ. სახალ. კომისარი, ა. ერქომაიშვილი—მომარაგ. სახ. კომისარი, ბ. კვირკველია—შინ. საქ. სახ. კომისარი, დ. კანდელაკი—განათლ. სახ. კომისარი, გ. კუჭაიძე—ჯანმრთ. სახ. კომისარი, ა. ჟუჟიკაშვილი—მუშ და გლ. ინსპ. კომ., ს. თოდრია—სოც. უზრუნ. სახ. კომ., გ. ვაშაძე—უზენ რევ. ტრიბ. თავმჯდ., თ. კანდელაკი—ს. კომ. პარტ. ც. კ. წევრი, გ. პარკ ძე—მ. და გ. ინს. კომ. კოლ. წევრი, ვ. კანდელაკი—მიწ.-მოქ. კ—ტის კოლ წევრი, ი. კაკაბაძე, ი. თალაკვაძე, რაჟდენ კალაძე—პოლ. გან. კოლეგიის წევრი, ს. თალაკვაძე—გრუსტას პოლიტიკური კომ. და ა. ქურიძე—პოლ გან. კოლ. წევრი.

გაზეთი გამოვა კვირაში ორჯელ ორშაბათ-ხუთშაბათობით.
რედაქცია მოთავსებულია გრიბოედოვის ქუჩ., № 19, ტელ. № 13-87
რედაქცია ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა, 10—2 საათ
რედაქცია სთხოვს ყველა სამაზრო და საქართველოს სხვა და სხვა ქ ლაქებში არსებულ გაზეთებს გვიგზავნონ თავიანთი გამოცემის თითო ცალ
პასუხისმგებელი რედაქტორი **პავლე მ. საყვარელიძე.**

## სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან

ამით ვაცნობებთ ს. ს. ს. რ. ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებ რომ 1922 წ. 1 იანვრიდან ყველა სასადილოები, მათ რიცხვში გახსნილ აგრეთვე ბავშვების სასადილოებიც იხსნება სახელმწიფო მომარაგებიდან ამავე დღიდან სწყდება კრედიტების და პროდუქტების გაცემა.

იმ კოლექტივებმა, რომელნიც დაინტერესებულნი არიან საზოგადოებრივი გამომკვები განყოფილების განკარგულებაში მყოფი ინვენტარის კოოპერატიულ სასადილოებისათვის გადაცემაში, თავის დროზე უნდა აღძრ სახალხო სასურსათო კომისარიატის წინაშე სათანადო შუამდგომლობა.

სახალხო სასურსათო კომისარი **ერქომაიშვილი.**

## სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან

სახალხო სასურსათო კომისარიატი ანხორციელებს ბავშვთა სახლების პროდუქტებით მომატებას იმ რესურსების მიხედვით, რომელიც არის მის განკარგულებაში, მაგრამ უკანასკნელ დროს ჩვენ ვხედავთ ამ სახლებ ბავშვთა რიცხვის გადიდებას და ისახება ახალი ანალოგიური დაწესებულებათა გახსნა.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ აღნიშნული გარემოება იწვევს ახ არა გაუთვალისწინებელ ხარჯებს, სახალხო სასურსათო კომისარიატი აცხ დეს, რომ უკვე ჩარიცხულების გარდა, ახალ მჭმელთა დაკმაყოფილება წარმოადგენს იმ ორგანიზაციების პირდაპირ მიზანს და ზრუნვის საგანს რომელთა განკარგულებაშიც იმყოფებიან ესა თუ ის სახლები.

სახალხო სასურსათო კომისარი **ერქომაიშვილი.**

### პარტიული

— მე-4 რაიკომი წინადადებას აძლევს „იაჩეიკების“ ყველა პასუხისმგებელ მდივნებს 1921 წლის 30 დეკემბრისათვის აუცილებლად წარმოადგინონ იაჩეიკების თვიური ანგარიშები.

ამ წინადადების არ შემსრულებელი ამხანაგები მიეცემიან სასტიკ პასუხისგებაში.

— დღეს, სამშაბათს 27 დეკემბერს საღამოს 5 საათზე პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგება მელითონეების და ტრანსპორტის კავშირის ფრაქციების შეერთებული პლენუმის სხდომა. რადგანაც დღიურ წეს რიგში სდგას მნიშვნელოვანი საკითხები, წინადადება ეძლევა ცენტრალურ გამგეობის და ქარხნების კომიტეტების ყველა კომუნისტებს წევრებს და კანდიდატებს, რომლებიც წარმოგზავნილია დელეგატებათ სამეურნეო ორგანოებში პარტიული დისციპლინის წესით, დაესწრონ ფრაქციის სხდომაზე.

**ფრაქციის ბიურო.**

### პროფესიული

სრულიად საქართველოს [illegible] ბის მუშაკთა ყრილობის მოწვევის ს[illegible] ორგანიზაციო ბიურო აწყობს კავში[illegible]რის წევრების საერთო კრებებს ტფილისში:

1) მე-5, 6, 7 და 8 რ-ნები იკრ[illegible]ბება ავლაბრის თეატრის შენობა[illegible] 29 დეკემბერს ა. წ., საღამოს 4 საა[illegible]ზე.

2 განათლების "კომისარიატი [illegible] ქ. განათლების განყოფილება [illegible] დღეს 29 | 12) გან. კომისარიატ[illegible] შენობაში ნაშუადღევის პირველ [illegible]ათზე.

3) 1, 2, 3 და 4 რ-ნები და საბურ[illegible]თალო—პროფკავშირთა საბჭოს დი[illegible] დარბაზში 30 | 12 საღამოს 6 საათზე.

4) 9, 10, 11 და 12 რ-ნები ს[illegible]ხალხო სახლში 30 | 12 ნაშუადღ[illegible]ვის 3 საათზე.

ტირაჟი 10,000 ნ. დ. ს. ც. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტერნის ქ., № 5.